პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 41
(11 702)

3 - 5 ივნისი, 2003 წ. ფასი 40 თ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## კახი კალაძე გორგასლის I ხარისხის ორდენზე წარადგინეს



ქართველი ფეხბურთელებიდან ჩემპიონთა ლიგის პირველი ლაურეატი, იტალიური „მილანის" და საქართველოს ეროვნული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი კახი კალაძე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე წარადგინა.

## მადლობის ფაქსი საერთაშორისო ფედერაციიდან

*როგორც ცნობილია, ამას წინათ საქართველოში სტუმრობდა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის დელეგაცია მისი პრეზიდენტის ბრუნო გრანდის ხელმძღვანელობით. საქართველოს ფედერაციამ მადლობის ფაქსი მიიღო საერთაშორისო ფედერაციიდან.*

**საქართველოს ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს ომარ დონდაძეს**

**ძვირფასო მეგობარო ომარ!**

როგორც იცით, ეს იყო ჩვენი პირველი ვიზიტი საქართველოში. ჩვენ გვსმენოდა თქვენი სტუმართმოყვარეობის შესახებ, მაგრამ ვერც კი წარმოვიდგენდით ასეთ თბილ და მეგობრულ მიღებას.

გთხოვთ გადაუხადოთ მადლობა მთელ თქვენს გუნდს და მათ, ვინც დაგეხმარათ, რომ ჩვენთვის ეს ვიზიტი დაუვიწყარი ყოფილიყო. აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო თქვენს სპორტის მინისტრს და ეოკ-ის პრეზიდენტს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით მედეა ჯუღელს იდეალური მასპინძლობისათვის.

ძალიან საინტერესოა, ამავე დროს საწყენი, თქვენი სპორტული დარბაზების დათვალიერება და იმ პირობების ხილვა, რა პირობებშიც თქვენი სპორტსმენები ვარჯიშობენ დღეს. წარმოუდგენელია როგორ შეგწევთ უნარი ასეთ გარემოებაში კვლავ აღზარდოთ ჩემპიონები, მაგრამ თქვენს ფედერაციასთან, სპორტის სამინისტროსთან, ეოკ-თან, სპონსორებთან ერთად, ჩვენი ფედერაციის თანადგომით და საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების იმედით, ვფიქრობთ შევძლებთ უკეთესი პირობების შექმნას თქვენი სპორტსმენებისთვის.

გისურვებთ წარმატებებს წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატისათვის მზადებაში.

**ბრუნო გრანდო**
**ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი**

**ნობერთ ბუში,**
**გენერალური მდივანი.**

## 8 წონიდან 4 გამარჯვებული და 5 პრიზიორი



ერევანში, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ახალგაზრდების საერთაშორისო ტურნირმა 7 ქვეყნის უძლიერეს მოჭიდავეებს მოუყარა თავი. საქართველოს ნაკრებმა (უფროსი მწვრთნელი ბეგი დარჩია, მწვრთნელი ვილი ხარაზოვი) შესანიშნავი შედეგებით დაასრულა ტურნირი. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ომარ ბაკურაძე (66 კგ; აჭარა), ბექა ყარყარაშვილი (74), გივი მორჩილაძე (96; ორივე — თბილისი); რევაზ ჭელიძე (120; ოზურგეთი), მეორე საპრიზო ადგილი დაიკავეს: მალხაზ სოლომონიძემ (5), დავით ბედინაძემ (60; ორივე — აჭარა), ლევან ზურაბიანმა (66; ოზურგეთი), ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ: რომან უნგიაძეს (55; თბილისი) და რამაზ დევაძეს (96; აჭარა). გუნდური პირველობა ქართველმა ფალავნებმა მოიგეს, მეორე იყო სომხეთის, მესამე — ირანის ნაკრები.

ინფორმაცია მოგვაწოდა **საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა.**

## მადლობა თქვენც გეკუთვნით, ბატონო ირაკლი!

*პრესკონფერენცია*

გუშინ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ პრესკონფერენციაზე ევროპის ჩემპიონატების მოსტუმრების შემდეგ ჟურნალისტთა წინაშე წარსდგნენ ძიუდოსა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მთავარი მწვრთნელები.

პირველი სიტყვა ძიუდოს მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა აიღო: „ევროპის ჩემპიონატში 16 მაისს ჩავერთეთ, მანამდე კი შეკრებები გვქონდა, გავიარეთ რამდენიმე ტურნირი. ევროპის ჩემპიონატში მოვიპოვეთ ერთი ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედლები. ეს იყო პირველი დღის შედეგები. ოქროს მედლის აღების შემდეგ ზეწოლა განვიცადეთ მსაჯებისაგან, რამაც ჩვენს ბიჭებზე უარყოფითად იმოქმედა".

ბერძნულ-რომაული ჭიდაობის მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ თქვა: „ყველაფრით კმაყოფილი ვარ, ოღონდ ეგაა, უკეთ შეეძლოთ გამოსვლა ირაკლი ჰოჭუას და მირიან გიორგაძეს. „ეს ორი მოჭიდავე ათეულშიც კი ვერ მოხვდა, კარუსელი ვერ დაატრიალეს. ისე, ჩვენი ნაკრები ლიდერი იყო, რადგან ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი დავთმეთ. ძალიან დიდი იმედი გვქონდა მანუჩარ კვირკველიასი, მაგრამ ის მხოლოდ მეხუთე ადგილზე გავიდა".

გაგაცნობთ ევროპის ჩემპიონატზე ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მონაწილე ყველა ჩვენი სპორტსმენის შედეგებს. 55 კგ — ირაკლი ჰოჭუა (ათეულში ვერ მოხვდა); 60 კგ — ლაშა ლომაძე — VI ადგილი; 66 კგ — მანუჩარ კვირკველია — V ადგილი; 74 კგ — ბადრი ხასაია — X ადგილი; 84 კგ — მუხრან ვახტანგაძე — III ადგილი; 96 კგ — რამაზ ნოზაძე — I ადგილი; 120 კგ — მირიან გიორგაძე (ათეულში ვერ მოხვდა).

**გუნდური:** 1. ბელარუსი, 2. რუსეთი, 3. უკრაინა, 4. თურქეთი, 5. საქართველო.

ბოლოს ირაკლი მეძმარიაშვილმა განაცხადა: „ჩვენ, ჩვენზე დაკისრებულ მოვალეობას პირნათლად ვასრულებდით. მადლობა ჩვენ კი არა, მწვრთნელებს და მოჭიდავეებს ეკუთვნით".

არა, ბატონო ირაკლი, მადლობა თქვენც გეკუთვნით!

P.S. **ირაკლი მეძმარიაშვილმა პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტმა სახელგანთქმული ქართველი ფეხბურთელის კახი კალაძის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენზე წარდგინება უკვე გაგზავნა სახელმწიფო კანცელარიაში.**

**ლ. ჯანკოტაძე**

## ქართველები წინ მიიწევენ



ქართველი მოკრივეები თავიანთი გამარჯვების წყალობით, კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ და წინ მიიწევენ პროფესიულ რინგზე ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ამჯერად მორიგ სარეიტინგო ბრძოლაში შალვა ფალიანმა (სურათზე დონ კინგთან ერთად) სანტა-კაროლინის შტატში (მენეჯერი მაიკ მაიკლი), მეორე რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა ამერიკელი რედჟი ავენი.

ვარიანელმა რამაზ ბებანაძემ (მწვრთნელი გელა სხირტლაძე) კი მაიამში 4 რაუნდიან ბრძოლაში დამაჯერებლად სძლია ასევე ამერიკელ მიკელ კანტალას.

18 ივნისს ძმები რამაზ და შალვა ფალიანები მორიგ ბრძოლებს ლას-ვეგასში გამართავენ.

**დავით ქავთარაძე**
**ძმები ფალიანების პირადი მწვრთნელი საქართველოში.**

## შევჩენკო ჩემპიოთა თასს უკრაინაში ჩაიტანს

უკრაინული საინფორმაციო წყაროების ცნობით, დღეს „მილანის" ფორვარდი ანდრეი შევჩენკო ევროპის ჩემპიონთა თასს კიევში ჩაიტანს და უკრაინელ გულშემატკივრებსა და ჟურნალისტებს სპეციალურ შეხვედრაზე წარუდგენს. საინტერესოა, გამოატანენ კი ევროპის უმაღლეს საფეხბურთო ჯილდოს კახი კალაძეს თბილისში?

## დღეს კვლავ ერთად ვიქნებით

იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება როცა საქმე იქცევა ხოლმე კაცის გვარსახელის სინონიმად, დასტურ იმისა, რომ ეს კაცი გამორჩეულად ემსახურა საქმეს. კვალი კი ისეთი დატოვა, რომელიც არასდროს წაიშლება, პირიქით, რაც დრო გავა, უფრო და უფრო სახიერი გახდება, თაობები გაჰყვებიან ნაკვალევს მოკრძალებით და მადლიერებით.

„ლელო" მიხეილ კაკაბაძის პირმშოა, ისევე როგორც ქართული სპორტული ჟურნალისტიკა — მასმედიის განკერძოებული მიმართულება. „ლელო" და სპორტული ჟურნალისტიკა იყო მისი შემოქმედებითი ცხოვრების არსი, თან-




აც იმდენად ღრმა და წარუხოცელი, დღეს თამამად ვამბობთ ყველა, რომ „მიხეილ კაკაბაძე და „ლელო", „ლელო" და მიხეილ კაკაბაძე" სინონიმებად იქცნენ. ასე იქნება მარად, რადგან პირველის ღვაწლის შეცვლა, მით უფრო ჩანაცვლება, შეუძლებელია და არაბუნებრივი.

ქართული სპორტული ჟურნალისტიკა ბედნიერია და ასე იქნება მუდამ, რადგან მას ჰყავდა უბრწყინვალესი მესაძირკვლე, სულიერად და ფიზიკურად სრულქმნილი პიროვნება. სწორედ ალბათ ასეთი უნდა ყოფილიყო ქართული გენის წარმომჩენ გამობრწყინებული ქართული სპორტული გაზეთის რედაქტორი, — პირველი რედაქტორი. და იყო კიდეც!

გუშინ, საქართველოს რადიოდან დამირეკეს, პირდაპირ ჩავერთე კუწა კაკაბაძისადმი მიძღვნილ საიბილეო გადაცემაში. იქ ვთქვი და გავიმეორებ: ისეთი დრო დადგა, იუბილეები გასაკვირი აღარ არის. მაგრამ საზოგადოებრიობამ იცის თუ ვინ არის ღირსეული იუბილეთა ამ ნაკადში. ღირსეულ პიროვნებებს ღირსეული ადამიანები, ღირსეული საზოგადოება თუ გადაუხდის იუბილეს. მხოლოდ თავად ღირსეულთ შეუძლიათ შეიტანონ და დააფასონ ღირსეული. მიხეილ კაკაბაძესთან მიმართებაში, ვინ თუ არა ამ დიდი პიროვნების შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი მანანა უნდა დასახელდეს უპირველესად, რომელმაც ყველაფერი გააკეთა ამ იუბილის მომზადება-ჩასატარებლად. ამასთან, უდიდესი ჯაფა გასწია მ. კაკაბაძისადმი მიძღვნილი სქელტანიანი წიგნის მომზადებისათვის. ღირსეული მამა ღირსეულად დააფასეს შვილებმა, აგრეთვე დიდი რედაქტორის ყოფილმა თანამშრომლებმა თუ შეგირდებმა, მეგობრებმა ცხოვრებაში თუ სპორტულ ჟურნალისტიკაში, მემკვიდრეებმა, ინტელიგენციის ცნობილმა წარმომადგენლებმა. ბევრი მათგანის განცდები და დამოკიდებულება აწ უკვე დაუნჯებულია ზემოხსენებულ უმშვენიერეს წიგნში, რომელიც მართლაც, რომ წონადია ამ სიტყვის პირდაპირი გაგებითაც. სწორედ, რომ თავად უნდა იყო ღირსეული პიროვნება, რომ ისეთი სიყვარულით შექმნა და გამოსცე უკვდავების ერთ-ერთი სიმბოლო წიგნი, როგორც ეს გააკეთა პატა ნაცვლიშვილმა თავისი გამომცემლობით და სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ ელგუჯა ბერიშვილის თავკაცობით, როგორც ეს იტვირთა თითოეულმა ავტორმა, რომლებიც ამ გამოცემაში შესულ თავიანთ წერილებში შთამომავლობას შემოუნახეს ნათელი კაცის და მოძღვრის ისეთი პორტრეტი, როგორიც ის იყო თანამედროვეთათვის და მომავლისთვისაც.

მიხეილ კაკაბაძე ჭეშმარიტად მომავლის კაცი იყო.

დღეს კვლავ ერთად ვიქნებით, დღეს მიხეილ კაკაბაძის დაბადებიდან 80 წლის იუბილეა!

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

## ნომერში წაიკითხავთ:

- რეზო ძოძუაშვილი „სპარტაკ-ალანიას" გაეყარა
- კონკურსში გამარჯვებისთვის 30 ათასი დოლარი
- ქართული ჭიდაობა უქართველებოდ?
- გიორგი შაშიაშვილი უბურთოდ, ახლო პლანით
- მსაჯობიდან დიდი სპორტის სამყაროში
- კროსვორდი, საჭადრაკო ამოცანა...

## ანონსი

### ქართველი ფეხბურთელები და დიდი ექვთიმე თაყაიშვილი

დიდ მამულიშვილს ექვთიმე თაყაიშვილს იმდენი ეროვნული საქმე აქვს გაკეთებული, რომ შეიძლება ადამიანმა ვერ დათვალოს. ვისთან არ ჰქონდა ამ სასწაულ პიროვნებას ურთიერთობა მისი ხანგრძლივი ცხოვრების გზაზე, მაგრამ ის კი არ მეგონა ამ დიდებულ ქართველს რაიმე შესახები წერტილი ქართველ ფეხბურთელებთან თუ ექნებოდა, არადა მართლაც ჰქონია. ასე იწყებს ჩვენი გაზეთის მუდამ სასურველი და მკითხველისთვის კარგად ცნობილი ავტორი პროფესორი დურმიშხან ცინცაძე თავის წერილს.



მაშ ასე, „ლელოს" შემდეგ ნომერში გთავაზობთ ექვთიმე თაყაიშვილის არქივში მიკვლეულ უნიკალურ მასალას, რომელიც არასდროს არსად გამოქვეყნებულა.

## თბილისის უნივერსიტეტში მასპინძლები იმარჯვებენ...



ახლახან, სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული საქართველოს „უნივერსიადა 2003" პირველობა მკლავჭიდში წონითი კატეგორიების მიხედვით მოიგეს: დავით კაზახაშვილმა (60 კგ), ჯაბა გეთიაშვილმა (70 კგ) (ორივე სახ. უნივერსიტეტი), გიორგი თვალიაშვილმა (80 კგ) (ტექნიკური უნივერსიტეტი), გიორგი უბილავამ (90 კგ) (სახ. უნივერსიტეტი) და არსენ შოშიაშვილმა ((90 კგ) (სპორტის აკადემია).

გუნდური გამარჯვება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მკლავჭიდელებს ხვდათ წილად.

3 - 5 ივნისი 2003

ATHENS 2004

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 1 წელიწადი და 2 თვე დარჩა

torino 2006

ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებს 2 წელიწადი და 9 თვე გვაშორებს

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

**უკეთ, ვიდრე სიდნეიში!**

# ცხადდება

## სპორტისა და ხელოვნების 2004 წლის საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის გადაწყვეტილებით ათენის ოლიმპიურ თამაშებს ეძღვნება 2003-2004 წლებში საერთაშორისო გამოფენა-კონკურსი თემაზე „სპორტი და ოლიმპიზმი“. იგი ეწყობა ორ ეტაპად: პირველი — ეროვნული გამოფენები — 2004 წლის იანვრამდე და მეორე ეტაპი — საერთაშორისო — 2004 წლის იანვარ-აპრილი.

„სპორტი და ოლიმპიზმის“ საერთაშორისო გამოფენა-კონკურსში საქართველოს ხელოვანთა აქტიური მონაწილეობის მიზნით სეოკის აღმასკომმა მიიღო სპეციალური დადგენილება.

ჟიურის თავმჯდომარედ დამტკიცებულია პრეზიდენტი ჯ. ბაგრატიონი. ჟიური საქართველოს მხატვართა კავშირთან შეთანხმებით ამუშავებს ეროვნულ გამოფენა-კონკურსში მონაწილეთა დაჯილდოება-წახალისების პირობებს.

**სპორტისა და ხელოვნების 2003-2004 წლების გამოფენა-კონკურსის ჩატარების პირობები**

**1. ჩატარების დრო:**

— **ეროვნული** — 2003 წლის მაისი-დეკემბერი. გახსნა 18 დეკემბერს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში.

— **საერთაშორისო** — 2004 წლის იანვარ-აპრილი. გახსნა 2004 წლის აპრილში საერთაშორისო ოლიმპიურ მუზეუმში (ქ. ლოზანა, შვეიცარია).

**2. ჩამტარებელი ორგანიზაციები:**

— **ეროვნული — სეოკ-ი,** საქართველოს კულტურის სამინისტრო, საქართველოს მხატვართა კავშირი, საქართველოს სახ. სამხატვრო გალერეა;

— **საერთაშორისო სოკ-ი,** საერთაშორისო ოლიმპიური მუზეუმი.

**3. ნომინაციები: — სკულპტურა;**

— გრაფიკა.

**4. ზომები: სკულპტურა: 2X1,5X1,5 მ. წონა 100 კგ. მაქსიმუმი;**

— გრაფიკა: 2X1,5 მ ჩარჩოს ჩათვლით;

შესაძლოა გამოყენებულ იქნას აბსტრაქტული ხელოვნება.

**5. წარმოდგენის ვადები:**

— ეროვნულ გამოფენებზე ნამუშევართა წარმოდგენის ბოლო ვადაა 2003 წლის I დეკემბერი (საქართველოს სახ. სამხატვრო გალერეა) — ფერწერა, გრაფიკა (შესრულების ტექნიკა შეუზღუდავია).

**6. მონაწილენი — მონაწილეთა ასაკი და სქესი შეუზღუდავია.**

**7. საერთაშორისო გამოფენა — კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოების პირობები:**

1. პირველი პრიზი — 30 000 აშშ დოლარი და დიპლომი
2. მეორე პრიზი — 20 000 აშშ დოლარი და დიპლომი
3. მესამე პრიზი — 10 000 აშშ დოლარი და დიპლმი
4. 4-8 ადგილებზე გაიცემა დიპლომები.

**პრიზები განსაზღვრულია ორივე ნომინაციაში ცალ-ცალკე.**

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი.**

# ქართული ჭიდაობა — უქართველებოდ!?

საბერძნეთში, ფლორინას პრეფექტურის ქალაქ ამინდეოში ახლახან პირველი საერთაშორისო შეჯიბრება მოეწყო ქართულ ჭიდაობაში. თუ არ ჩავთვლით საინგილოს (აზერბაიჯანს), ეს იყო ქართული ჭიდაობის პირველი უცხოური ტურნირი.

ელადის მიწაზე ამ შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ კახეთში დაბადებული ძმები ილიადისები, რომლებიც 10 წელია ისტორიულ სამშობლოში ცხოვრობენ.

ჩვენდა სამწუხაროდ, უსახსრობის გამო საბერძნეთში ვერ ჩავიდა საასპარეზოდ ქართული ჭიდაობის სამშობლოს წარმომადგენლები — საქართველოს ფალავნები. დამეთანხმებით, ეს ფაქტი ძალზე მტკივნეულია და მასზე საუბარს შემდეგში გავაგრძელებთ...

თუ ჩვენები ვერ წავიდნენ, ქართული ჭიდაობის გასაცნობად საქართველოში ჩამოვიდნენ ფრანგი ჟურნალისტები...

ახლახან ქართულ ჭიდაობაში სტუდენტთა შორის თბილისში ღია ცის ქვეშ ნახერხზე გამართულ შეჯიბრებას ახალგაზრდა ფრანგ ჟურნალისტთა მთელი ჯგუფი გაცხოველებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს, ისინი ტელე თუ ფოტო ობიექტივით ფირზე აღბეჭდავდნენ შერკინების მომენტებს, ლოყებდაბერილ მეზურნეებს, ვნებააშლილ მოსეირე მაყურებლებს თუ ჰალსტუხიან ჩინოვნიკებს...

ისინი ქალაქ სტრასბურგის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულები ყოფილან — ან-ლორი ელიპე, კანადის მორისი, კამი ბულონი და მანუელ ალიეზი.

— ძალიან აღფრთოვანებულები ვართ, პირველად ვნახეთ თქვენებური ჭიდაობა. სწორედ ეროვნულ სპორტზე გვსურს რეპორტაჟებისა და ფილმის გადაღება. ქართული ჭიდაობა ამისათვის საუკეთესო ხელოვნებაა. გვითხრა ან-ლორი ელიპემ. თან დასძინა, ეს ორთაბრძოლა ძალიან კორექტული და ლმობიერია, მეტოქენი უხეშად არ ექცევიან ერთმანეთს. მუსიკაც მშვენიერია...

ჩვენი ფილმი ქართულ ეროვნულ სპორტზე ერთ წელიწადში გამოვა. ის საფრანგეთის ტელევიზიის მეორე არხზე გადაიცემა. ვეცდებით საქართველოს ტელევიზიის პირველმა არხმაც გაიცნოს. დასძინა ახალგაზრდა ფრანგმა ჟურნალისტმა.

**ბესიკ გაბოძე**

# „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“

უჩვეულო დღესასწაული გაიმართა 30 მაისს ვერის ბაღში მ. კეკელიძის სახელობის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში.

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსმა დ. ჭელიძემ დიდი სპორტული ზეიმი მოუწყო აფხაზეთიდან დროებით გადაადგილებულ სპორტსმენებს. გაიმართა სპორტული მასობრივი ღონისძიება დევიზით: „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი!“, რომელშიც მონაწილეობდა 400-მდე მოზარდი. დარბაზი საზეიმოდ იყო მორთული. დამსწრე სტუმრებმა და მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს აფხაზეთში დაღუპულ მეომრებს.

ღონისძიება საზეიმო ხასიათისა იყო. მუსიკის ფონზე არენაზე გამოდიოდნენ ფეხბურთელები, კარატისტები, მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატები, აკრობატები, კალათბურთელები, რომლებიც საჩვენებელ ვარჯიშებს ატარებდნენ. გაიმართა შეჯიბრება „მხიარული სტარტებისა“ და სამეჯლისო ცეკვების პროგრამით.

ბოლოს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ჩირაღდანმა“ (სამხატვრო ხელმძღვანელი საქართველოს დამსახურებული არტისტი ნუგზარ კარანაძე) ზეიმი ქართული ცეკვებით დაასრულა. ყველა მონაწილეს დაურიგდა ფასიანი საჩუქრები და მონაწილის სერტიფიკატი.

მონაწილეები დააჯილდოვეს საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ი. მეძმარიაშვილმა,, დ. ჭელიძემ, მისმა მოადგილემ ზ. დოლიძემ, აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ა. ზუხბაიამ, თბილისის საკრებულოს წევრმა, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში გ. სალარაძემ, ოლიმპიური თამაშების პრიზიორმა თავისუფალ ჭიდაობაში ე. კურტანიძემ, პირველმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ქალმა მ. ჯუღელმა, აფხაზეთის ქონების მართვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ა. ჩიტავამ და სხვებმა.

როგორც დ. ჭელიძემ აღნიშნა, ღონიძიება, რომელიც არ იქნება ერთჯერადი, დააფინანსა ქ. თბილისის მერიამ.

აფხაზეთის სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ა. ზუხბაიამ დიდი მადლობა გადაუხადა ქ. თბილისის მერს ვანო ზოდელავას და ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის უფროსს დ. ჭელიძეს... „ეს ლამაზი დღე ძვირფასი საჩუქარია და დაუვიწყარი იქნება აფხაზეთიდან დროებით გადაადგილებული მოზარდებისთვის.

ვიმედოვნებთ, მომავალი შეხვედრა სოხუმში შედგება“.









# არის ახალი საგინესო რეკორდი

## ნუგზარმა გაუძლო, რკინის რელსმა — ვერა...

2003 წლის 1 ივნისი. თბილისის სალოკომოტივო დეპო. უამრავი ცნობისმოყვარე მოუთმენლად ელის უცნაური ასპარეზობის დაწყებას. ბათუმის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი შუახეველი (აჭარა) ნუგზარ გოგრაჭაძე მზადაა დაამხოს ბელგიელი ვალტერ არფეის 1996 წელს დამყარებული საგინესო რეკორდი, რომელმაც კბილებით 224 ტონიანი სავაგონო შემადგენლობა 3.2 მეტრზე გაათრია.

სავაგონო შემადგენლობა, რომელსაც ნუგზარი უნდა შეეჭიდოს, 228 ტონა და 800 კილოგრამია.

პირველი ცდა. შემადგენლობა შექანდა. რამდენიმე სანტიმეტრი გადაადგილდა და გაჩერდა. მსაჯთა ბრიგადამ ძალიან მალე დაადგინა მიზეზი. რკინის რელსმა და ბეტონის შპალებმა ვერ გაუძლო უჩვეულო ნარნარ გაწევას და ჩაიღუნა. წარმოიშვა თავისებური ორმო. დეპოს თანამშრომელთა ოპერატიული მცდელობით, წუნი მალე აღმოიფხვრა. მეორე მცდელობა შედეგიანი აღმოჩნდა და სარეკორდო წონიანი სავაგონო შემადგენლობა 4 მ. 28 სმ. ნიშნულთან გაჩერდა. არის ახალი გინესის მსოფლიო რეკორდი. სხვათა შორის, გინესის რეკორდების წიგნში ვალტერ არფეი მსოფლიოს უძლიერეს ადამიანადაა მოხსენიებული. დღეს ამ ტიტულმა საქართველოში გადმოინაცვლა.

ახალი რეკორდსმენი 1974 წელსაა დაბადებული. სიმაღლე - 177 სმ. წონა - 111 კილოგრამი. იგი მრავალმხრივი სპორტსმენია.



სხვადასხვა დროს კიკბოქსინგსა და ტაილანდურ კრივში იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი. ნუგზარის ოცნებაა პირისპირ შეხვდეს და დაამარცხოს მსოფლიოს უძლიერესი სპორტსმენები, დაამყაროს მრავალი საგინესო რეკორდი და მეტი სიხარული მოუტანოს სამშობლოს.

და ბოლოს, ნათქვამია, კვიცი გვარზე ხტისო. გადმოცემით ნუგზარის წინაპრებიც ზეადამიანური ღონით გამოირჩეოდნენ. მამის მხრიდან ბაბუას შუახევში, წყაროთას ტყეში დათვი შეყრია, შებრძოლებია, ცოცხლად შეუპყრია და სოფელში ჩამოუყვანია, ხოლო დედის მამას ერთხელ ტყეში საწნახელი გაუთლია, დასახმარებლად მიწვეულ ნადს დაუგვიანია და გაბრაზებულს საწნახელი მარტოკას აუკიდია და საკუთარ მარნამდე მიუტანია.

ღმერთმა ნუ მოაკლოს საქართველოს ნუგზარის მსგავსი ათლეტები.

**ვაჟა ნუცუბიძე**
**საგინესო ასპარეზობის მთავარი მსაჯი.**

P.S. იუმორით: როდესაც ჟუმბერ ლეჟავამ თავისი ველოოდისეა წამოიწყო, საქართველოში ათჯერ მეტი ველოსიპედი გაიყიდა. როცა გოდერძი მახარაძემ ბურთის კენწვლის მსოფლიო რეკორდი დაამყარა, ბავშვები მასიურად ბურთის კენწვლაზე გადავიდნენ. როცა ჰენრი კუპრაშვილმა დარდანელი ხელფეხშეკრულმა გადაცურა, ბავშვებმა დაიწყეს ასეთი სტილით ცურვა. წარმოგიდგენიათ რა მოხდება ამჯერად მოსახლეობამ მასობრივად რომ დაიწყოს რკინიგზის ვაგონების გადაადგილებაზე ვარჯიში...



# თითქმის ყველა ჩაება ასპარეზობაში

**აკრობატიკა**

საინტერესო გამოდგა დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ტანვარჯიშულ სახეობათა ბავშვთა-მოზარდთა ოლიმპიური რეზერვის სკოლის (დირექტორი რ. ბერიკაშვილი) ღია პირველობა ბატუტზე ხტომაში, სადაც სასწავლებლის 80%-ზე მეტი აღსაზრდელი მონაწილეობდა. ეს იყო მთელი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის ერთგვარი დათვალიერება. ზამთრის შემდეგ ბავშვებმა არც თუ ურიგო შედეგები აჩვენეს თავიანთ ასაკობრივ ჯგუფებში. ოსტატობის პროგრამით მოასპარეზეებმა კი წარმოადგინეს უამრავი რთული ილეთი და მაღალკოეფიციენტიანი ვარჯიშები. მართალია, ჯერ კიდევ ბევრი შრომაა საჭირო ილეთების დახვეწა — სრულყოფამდე მისაყვანად. რაც მეტ შეჯიბრებაში იასპარეზებენ ჩვენი ნიჭიერი სპორტსმენები. მით უკეთ მოემზადებიან მსოფლიო პირველობისთვის, რომელიც გაიმართება ოქტომბერში, გერმანიის ქ. ჰანოვერში.

**კვარცხლბეკი. II თანრიგი. ჭაბუკები:** 1. კობა ირემაშვილი, 2. ლადო ბაზუაშვილი, 3. ირაკლი ბაინდურაშვილი; **III თანრიგი. გოგონები:** 1. თეონა გაბეტაძე, 2. ვიკა კულიკი, 3. არტინე აკოპოვა; **III თანრიგი (სკოლამდელი ასაკი):** 1. დიმიტრი ალადაშვილი, 2. ალეკო გულბანი, 3. გიორგი ხაჭაპურიძე; **გოგონები (სკოლამდელი):** 1. მეგი ცხადაძე, 2. მარი მარქარიანი, 3. მარი არაბული; **I თანრიგი. ჭაბუკები:** 1. დიმა ზუტიკოვი, 2. გიორგი ბაინდურაშვილი, 3. დიმიტრი ილინი; **გოგონები:** 1. სოფიო მანუკიანი, 2. ნინო შველიძე, 3. თეკლე გულბანი; **II თანრიგი:** 1-2. მარი ბაზუაშვილი და თათია კუპატაძე, 3. ჯულიეტა ოქრომჭედლიშვილი; **I თანრიგი:** 1. ლიკა სამხარაძე, 2. ირენა ჯინჯოლავა, 3. ივეტა აკოფოვა: **ოსტატობის ნორმატივით. უმცროსი ასაკი:** 1. გაბრიელ ცხოვრებაშვილი, 2. არჩილ მაკალათია, 3. ნიკა ნოზაძე; **უფროსი ასაკი:** 1. თენგიზ კოშკაძე, 2. ოლეგ კოლოსოვი, 3. გიორგი მარქარიანი; **გოგონები:** 1. სოფიო გულიაშვილი, 2. ლუბოვ გოლოვინა, 3. ნანა ლუჭაშვილი.

**ნინო ქავთარაძე.**

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ჟურნალი №8 (28) ივნისი 2003 წელი


## საქართველოს ჩემპიონატი კატაში



საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ კიდევ ერთი საქართველოს ჩემპიონატი ჩაატარა, ამჯერად კატაში. საქართველოს მორიგი ჩემპიონატი კატაში კარატე-დოს პოპულარიზაციას, ჯანსაღი თაობის აღზრდას და საქართველოს კარატე-დოს 2003 ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. ნაკრების, რომელიც საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე იასპარეზებს.

საერთო ჯამში, შეჯიბრში 200-მდე სპორტსმენმა იასპარეზა, სადაც 8 ასაკობრივი ჯგუფი ასპარეზობდა, მათ შორის გოგონებიც. ჩემპიონატი საერთო ჯამში საინტერესოდ წარიმართა, მაგრამ განსაკუთრებულ აღნიშვნას მოითხოვს ვეტერანთა ასპარეზობა. ვეტერანთა ასპარეზობამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ კარატე მართლა ხანგრძლივი სპორტია, რომლის ბოლომდე დაუფლებასაც მთელი ცხოვრება სჭირდება.

"ამ შეჯიბრმა კიდევ ერთხელ, ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოს კარატეში უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ჩვენ მალე დავასახელებთ საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ნაკრების ძირითად შემადგენლობას, რომელიც იასპარეზებს საქართველოს სახელი სადიდებლად. ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ გასული წლის შედეგებს და ჩვენს სამომავლო გეგმებს დიდი მომავალი და ბრწყინვალე გაგრძელება უწერია. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ არც ჩვენმა კარატისტმა ვეტერანებმა იასპარეზეს ურიგოდ". - აღნიშნა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ

საქართველოს ჩემპიონატში ბევრმა თავისი თავი ახლებურად, კარგ ფორმაში წარმოგვიდგინა, და ბევრიც ახალი გვარ-სახელებიც გამოჩნდა.

მაშ ასე, დაველოდოთ კარატეს ეროვნული ნაკრების ჩამოყალიბებას.

**ვაჟები 10 წლამდე**

I თენგიზ კვერცხიშვილი
II ალექს გორელაშვილი
III ალექს აფციაური
IV თორნიკე ჯიბლაძე
V კახა ხაბეიშვილი
VI ნიკა სახვაძე
VII ირაკლი კირკიტაძე
VIII ჯემალ ჯანგავაძე

**ვაჟები 14 წლამდე**
**ინდ. კატა**

I იუზა შენგელია
II გიორგი ლოხიშვილი
III ჰენრი ვეკუა
IV დათო სანაშვილი
VI გიორგი აბალაშვილი
VI ლაშა გაბზირიძე
VII გიორგი არანაია
VIII გოგიტა გოცირიძე

**ვაჟები 18 წლამდე**
**ინდ. კატა**

I გიგა ლაპიაშვილი
II ლევან გორელაშვილი
III ბექა ხმალაძე
IVდათო ტყებუჩავა
V ლევან გელდიაშვილი
VI ალექსანდრე ჟამურაშვილი
VII გური ქოიავა
VIII სერგო სამირაგოვი

**მამაკაცები 35 წლამდე**
**ინდ. კატა**

I დავით აბრამიშვილი
II ზურა მესხი
III ბექა ხმალაძე
IV მერაბ თურქია
V გოჩა სურმანიძე
VI ირაკლი ტყებუჩავა
VII ზვიად ზვიადაური
VIII ჯუმბერ ჯოჯუა
IX ლევან ლომიძე

**ვეტერანები**

I ჯუმბერ აბესაძე
II ირაკლი ცინცაძე
III ზურა მესხი
IV ნოდარ გულადაშვილი
V ზურა გასიტაშვილი

**გოგონები 10 წლამდე**
**ინდ. კატა**

I თათია თურქია
II თეონა სულამანიძე
III ნინო ჯანდიერი
IV ანანო ქოიავა
V თამუნა ბაიაძე

**გოგონები 14 წლამდე**
**ინდ. კატა**



I ია თავაძე
II თათია თურქია
III ნათია სულამანიძე
IV მადონა გურგენიძე

**გოგონები, 18 წლამდე**
**ინდ. კატა**

I ნათია გოგბერაშვილი
II ჟანა ჭუბაბრია
III ნათია თურქია
IV ნინო ჯოჯუა
V ნათია მამასახლისი
VIკარინა კაზაზბაშიანი

**გოგონები 35 წლამდე**

I ანა ძაძამია
II ნინო სვანიძე
III ეთერ გავაშელი

## სად არის კარატეში მწვერვალი დავით აბრამიშვილისთვის



მინი დოსიე: *დავით აბრამიშვილი დაიბადა 1985 წლის 11 მარტს, თბილისში. არის თბილისის სახელმწიფოო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი. კარატეში ვარჯიში 10 წლის ასაკში დაიწყო სენსეი ბესიკ ხუციშვილთან. არის მეორე დანის (შავი ქამრის) მფლობელი. 1997 წელს პირველად გახდა ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონი კუმიტეში. შემდეგ მსგავსი წარმატება კიდევ სამჯერ გაიმეორა. არის საერთაშორისო და რეგიონალური ტურნირების მრავალგზის გამარჯვებული და პრიზიორი. 2001 წლის ევროპის ჩემპიონატზე გუნდურ კუმიტეში მოიპოვა ოქროს მედალი, ხოლო გუნდურ კატაში ვერცხლს დასჯერდა. შარშან გერმანიაში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაზე ინდივიდუალურ კატაში მოიპოვა ოქროს მედალი, ასეთივე შედეგს მიაღწია გუნდურ კუმიტეში. ირლანდიის ევროპის ჩემპიონატზე კი ვადო კარატე-დოში მესამე ადგილი ერგო, როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდურ კუმიტეში.*

*- დათო, შენ უკვე საკმაოდ ტიტულოვანი კარატისტი ხარ. როდის აიღო შენმა*

**გაგრძელება გვ.2**

## რა არის ლევან გორელაშვილისთვის კარატე



მარცხნიდან: ლევან გორელაშვილი, კახა ბასილია და დავით აბრამიშვილი

მინი დოსიე: *ლევან გორელაშვილი დაიბადა 1987 წლის 14 ნოემბერს თბილისში. სწავლობს თბილისის 67-ე საშუალო სკოლის X კლასში.*

*ლევანმა კარატეში ვარჯიში 1995 წლიდან დაიწყო, სენსეი ბესიკ ხუციშვილთან. ფლობს I დანს. ოფიციალურ შეჯიბრებებში1997 წლიდან მონაწილეობს, სადაც ექვსჯერ მოიპობა საქართველოს ჩემპიონის ტიტული, ოთხჯერ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია, საკლუბო და რეგიონალურ შეჯიბრებებში ოცჯერ გახდა ჩემპიონი და პრიზიორი. 2001 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტულით დაიმშვენა მკერდი, რომელიც კუმიტეში მოიპოვა, ხოლო გუნდურ კატაში მეორე ადგილს დასჯერდა. შარშან გერმანიაში გუნდური მსოფლიო თასი მოიპოვა ახალგაზრდებს შორის, დუბლინში კი (ირლანდია) ვადო კარატედოში გამართულ, რიგით მეათე ევროპის ჩემპიონატზე ოქროს მედალი მოიპოვა ინდივიდუალურ კუმიტეში ახალგაზრდებს შორის, გუნდურ კუმიტეში ვერცხლს დაჰყაბულდა. თავის ყულაბაში ერთი ბრინჯაოს მედალიც ჩააგდო, რომელიც უფროსებში გუნდურ კუმიტეში მოიპოვა.*

*- ლევან, თუ გახსოვს, პირველი წარმატება რომ*

**გაგრძელება გვ.2**

№8 (28) ივნისი 2003 წელი

# კლუბ "აისის" ჩემპიონატი შეჯიბრის შედეგები



**5-6 წ.**
დათო რევია
ოთიკო კორკელია
დემნა ამაშუკელი

**7-8 წ.**
თორნიკე გოდერიძე
გუგა გარსევანიშვილი
რეზო კვაჭაძე

**9-10 წ.**
ლაშა ჯანგავაძე
გიორგი ძიძიკაშვილი
სერგეი ოგანესიანი
ანდრი ხითარიანი

**11-12 წ.**
ბექა სამანიშვილი
ერიკა მანუკიანი
მამედა დალრიანი

**13-14 წ.**
დათო იქორაშვილი
შლვა ბაშარული
დიმა მადლიანი

**15-16 წ.**
სერგო ამირაგოვი
რამინი სიბაშვილი
მიხეილი ხაჩატურიანი

**17 და ზევით.**
მიხეილ ბურუაშვილი
გიორგი ქისტაური
თემური ხუციშვილი

კლუბმა "აისმა" 24 მაისს შიდა საკლუბო შეჯიბრი ჩაატარა კუმიტეში. შეჯიბრზე საკმაოდ დიდი რაოდენობის კარატისტმა მოიყარა თავი. შეჯიბრში 7 ასაკობრივი ჯგუფი მონაწილეობდა.

როგორც კლუბის, "აისის", პრეზიდენტი ზვიად ზვიადაური აცხადებს - " ამ შეჯიბრით კიდევ ერთხელ გადავამოწმეთ ჩვენი ახალბედა კარატისტების მზადყოფნა და საშუალება არ მივეცით, რომ წლის ბოლოს არმოდუნდნენ, შეეცადნენ ფორმაში დარჩნენ. ასეთი ჩემპიონატები უფრო ხშირად უნდა ჩატარდეს, რათა ქართული კარატეს დონემ კიდევ უფრო აიწიოს, რომელიც, თავისთავად, საერთაშორისო ასპარეზობებზე იჩენს დადებითად თავს". შეჯიბრს საუკეთესო კარატიდტებიც ჰყავდა, რომლებიც სპეციალური პრიზითაც დაჯილდოვდნენ: მიხეილ ბაძუაშვილი, ოთიკო კორკელია. ამ შეჯიბრიდან მომავალი ჩემპიონატებისთვის უკვე შეირჩა რამოდენიმე კარატისტი, რომლებიც დაიცავე კლუბისა და მომავალში ქვეყნის სახელს.

ხოლო, რაც შეეხება სულ ახლახანს გამართულ საქართველოს ჩემპიონატს კატაში, რომელშიც ზვიად ზვიადაურმაც იასპარეზა, საკმაოდ კარგი შედეგი აჩვენა.



## რა არის ლევან გორელაშვილისთვის კარატე

**დასაწყისი გვ.1**



*მოიპოვე, რამდენი წლის იყავი?*

- მახსოვს, 9 წლის ვიყავი, როცა ბათუმში მივიღე მონაწილეობა აჭარის ღია ჩემპიონატში და პრიზიორი გავხდი. ეს იყო ჩემი პირველი წარმატება, საიდანაც სათავე აიღო ჩემმაკარიერამ კარატეში.

***- ყველაზე მეტად რომელი შეჯიბრის შედეგებით ამაყობ?***

- ყველაზე დიდი სიამოვნება მივიღე მაშინ, როცდესაც მეორედ გავხდი ევროპის ჩემპიონი ირლანდიაში. უფრო იმიტომ ვამაყობ, რომ ეს იყო ჩემი პირველი დამოუკიდებელი გასვლითი შეჯიბრი და უფრო დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი, რაც ჩემი აზრით, გავამართლე. ეს საამაყოდაც მაქვს, მაგრამ მე უფრო მგონია, რომ ეს უფრო პასუხისმგებლობის მომატებას უნდა ნიშნავდეს.

***- ლევან, როდესაც შეჯიბრზე გადიხარ რა გრძნობა გეუფლება?***

- პირველი, რომ არ დავმარცხდე, და მეორე ის არის, რომ უზომოდ დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ საკუთარი თავის მიმართ, მასწავლებლის წინაშე. ვალდებული ვარ ყველას წინაშე, რომ ყველა დავუფასო ის შრომა, რომელიც ჩემზე დახარჯა ჩემმა მასწავლებელმა.



***- კარატეს გარდა სხვა რა სპორტი გიტაცებს?***

- ფეხბურთი მიყვარს ძალიან, ცურვა და მაგიდის ჩოგბურთი. სხვათა შორის, თავისუფალ დროს ხშირად ვთამაშობ მაგიდის ჩოგბურთს და საკმაოდ კარგადაც.

***- ბოლო შეჯიბრი, რომელიც ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კატაში, კმაყოფილი ხარ?***

- საკუთარი თავის კმაყოფილი არასოდეს არ ვარ. ხოლო რაც შეეხება ბოლო შეჯიბრის შედეგს, მე-2 ადგილი ავიღე, სადაც საქართველოს ყველა ძლიერი კარატისტი ასპარეზობდა. თანაც უფროს ასაკში მომიწია ასპარეზობა.

***- ლევან, შენ საკმაოდ წარმატებული და ტიტულოვანი კარატისტი ხარ და როგორ ფიქრობ, სხვა სპორტს რომ გაჰყოლოდი, ასეთი წარმატებული იქნებოდი იქაც?***

- არ ვიცი, ვერ გეტყვით, ძნელია ამის თქმა დღევანდელი ჩემი პოზიციიდან. ამჯერად მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ კარატე სრულიად განსხვავებულია ყველა სპორტისაგან. ჩემთვის კარატე მარტო სპორტი არ არის. ის ცხოვრების წესია, ორთაბრძოლების ადამიანის სულიერი და ფიზიკური აღზრდის უნიკალური საშუალებაა, რომელიც ხელოვნების დონეზეა აყვანილი. ხშირად ერთი შეჯიბრი ან თუნდაც ერთი ჩვეულებრივი გაკვეთილი მთელი ცხოვრება მგონია; კარატე სულ სხვა სამყაროა. კარატეში წარმატების მიღწევა მხოლოდ დაუღალავი შრომით შეიძლება.

## სად არის კარატეში მწვერვალი დავით აბრამიშვილისთვის ?

**დასაწყისი გვ.1**

*სპორტულმა კარიერამ სათავე?*

- 1997 წელს პირველად გავხდი საქართველოს ჩემპიონი და ამის შემდეგ კარატემ ჩემთვის უკვე სერიოზული და ამავე დროს აზარტული საზეც მიიღო. შემდეგ, რაც დრო გადიოდა პროფესიონალურ კარატეზე ვოცნებობდი და თავისთავად შემექმნა სერიოზული კარიერა. ამ გზის გაკვალვაში დამეხმარა ჩემი სენსეი (მასწავლებელი), ბესიკ ხუციშვილი, რომლის დიდი დამსახურებაა ჩემი სპორტული წარმატებები. ამავე დროს ჩემს წარმატებებში საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, სენსეი კახა ბასილიას.



***- როგორ ფიქრობ, შენთვის კარატეში მწვერვალი სად არის?***

- კარატეში მწვერვალი ორნაირი მგონია: ერთი, ყველა ტიტულის მოპოვება, ყველა რანგის შეჯიბრების მოგება, და მეორე, კარატეში მთელი ცხობრება მწვერვალისაკენ მიდიხარ, სულ ახალ-ახალ მწვერვალებს იპყრობ. ასე რომ, კარატეში ჩემს მიერ ნათქვამ პირველ მწვერვალს შეიძლება უფრო მალე მიაღწიო, ვიდრე მეორეს. და მაინც, მეორე დონის მიღწევა ოსტატობის უფრო ახალ, მაღალი და მაღალი დონეების მიღწევას ნიშნავს, და აქედან გამომდინარე, ყველაზე მთავარი მე მაინც მეორე მგონია.



***- შეჯიბრის დროს გულშემატკივარი რა როლს თამაშობს შენთვის?***

- შეჯიბრზე ასპარეზობა გულშემატკივარის გარეშე ძალიან ძნელია. მაგალითად, გავიხსენებ შარშან გერმანიაში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებას, სადაც უამრავ უცხო ხმაში, თუნდაც ერთი ქართული სიტყვაც ჩემთვის ყველაფერს ნიშნავდა, შინაგანად დენთივით მაფეთქებდა მაშინვე. გულშემატკივარი არის საუკეთესო საშუალება, რათა შეჯიბრზე თავიდან ბოლომდე, როგორც წესი, სამურაის, ქართული მებრძოლი სულით იბრძოლო. არ შეიძლება, რომ ქართველს გული არ შეგიტოკდეს... ეს ჩემთვის ის დიდი გაკვეთილი იყო, რომელმაც ქვეყნისა და გულშემატკივრის სიყვარული უფრო მეტად გამიღრმავა, გამიასკეცა.

***- თავისუფალ დროს რას უთმობ, რით ხარ დაკავებული?***

- რაც შეეხება თავისუფალ დროს, პრაქტიკულად არ მაქვს, და თუ დღის განმავლობაში თავისუფალი დრო გამოვნახე წიგნებს ვკითხულობ, უფრო დეტექტიური ჟანრის წიგნებს, ისე ფილოსოფიური წიგნებიც მიტაცებს.

***- კარატეს გარდა სხვა რომელი სპორტი გიტაცებს?***

- მე ყველა სპორტი მიყვარს. ყველა სპორტი კარგია, მაგრამ განსაკუთრებით მომწონს ფეხბურთი და ცურვა.

***- ბოლო შეჯიბრის, საქართველოს ჩემპიონატი კატაში, შედეგზე რას მეტყვი?***

- ამ შედეგით კმაყოფილი ვარ, მაგრამ უფრო მეტია საჭირო.


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.

**მათ, ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:**

ქ.თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ.№6. ტელ/ფაქსი:96-31-89. საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი


გვერდი მოამზადა საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეს-მდივანმა, ნუგზარ ჭიაბერაშვილმა



# ყველაფერი დინამოსია

„დინამო" ჩემპიონია, „დინამო" თასის მფლობელია. „დინამო" ქართული ფეხბურთის ავანგარდს დაუბრუნდა. სამწლიანი პაუზის შემდეგ უძლიერესი და უპირველესი ქართული გუნდი, ისევ პირველია!

სამგზის ჩემპიონი „ტორპედო", ამჯერად ვერცხლის ვიცე-ჩეპიონობას დასჯერდა. „ბრინჯაო" კი, „ვიტ ჯორჯიასია". ***XIV ეროვნულის სამი პრიზიორი ევროტურნირებში ჩაებმება. „დინამო" — ჩემპიონთა ლიგაში. „ტორპედო" — უეფას თასზე, ქუთაისელებს შეუერთდება ბოლნისის „სიონი", რომელიც როგორც თასის ფინალისტი, უეფას თასზე იასპარეზებს, ვიტელები ინტერტოტოზე ითამაშებენ.***

გაირკვა ქვედა ექვსეულის გუნდების ბედიც. „გორდამ" თბილისში „მერანი-ოლიმპს" მოუგო და უმაღლეს ლიგაში დარჩა, თუმცა რუსთაველებს ლიგაში, საბოლოოდ, ადგილის შენარჩუნებისთვის ბრძოლა კიდევ მოუწევთ, მათი კონკურენტი პირველი ლიგის მესამე ადგილოსანი „მცხეთა" იქნება. გადათამაშება 4 ივნისისათვისაა დანიშნული. პირველ ლიგას დაუბრუნდა „მილანი", რომელიც გორში დამარცხდა და „მეტალურგის" ბედი გაიზიარა. მომავალ სეზონში, ზესტაფონელებს და წნორელებს უმაღლეს ლიგაში ზუგდიდის „ლაზიკა" და ოზურგეთის „მერცხალი" ჩაენაცვლებიან.





*თბილისის „დინამო" 2003 წლის საქართველოს თასის მფლობელი და ჩემპიონი*

*ფოტო ელდარ მალხაზიშვილისა*

## საქართველოს XIV ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

X ტური

### თქვა და შეასრულა კიდეც

„სეზონის დაწყებამდე დავისახე მიზნად, რომ „დინამო" ქართული ფეხბურთის სათავეში დამებრუნებინა" — ასეთი სიტყვებით დაიწყო პრესკონფერენცია ბედნიერმა ივო შუშაკმა.

XIV ეროვნული ჩემპიონატის დაწყებისთანავე ჩანდა, რომ „დინამოს" მიზანი იყო ჩემპიონები ან თასის მფლობელები გამხდარიყვნენ. საოცარია, ორივე ერთად მოახერხეს. 30 მაისს, ჩემპიონატის ბოლო, X ტურში „დინამოს" ყველა ფეხბურთელი მოედანზე მოგების წყურვილით გავიდა, თუმცა მათი ბედი წყდებოდა, როგორც ქუთაისში, ასევე ფოთშიც. საბოლოოდ, „დინამომ" სამწლიანი შესვენების შემდეგ კვლავ დაიბრუნა ჩემპიონის ტიტული, „სიონმა" კი უეფას კარს გასაღები მოარგო.

თამაშის დაწყებიდანვე ჩანდა, რომ „დინამო" ძალებს არ დაზოგავდა მოგებისთვის და შესაბამისად სერიოზულად შეუდგა თამაშს. პირველ ტაიმში მასპინძლებს ბევრჯერ შეეძლოთ მეტოქის კარის დალაშქვრა, მაგრამ ვერც დარასელიამ, კარლოსმა და ანჩაბაძემ ვერ მოახერხეს ანგარიშის გახსნა. ვოლკოვი დიდი მონდომებით იცავდა კარს, ბოლნისელთა მეკარეს დაცვაც ხელს უწყობდა. პირველი ნახევარი ნულოვანი ფრით დასრულდა.

შესვენებაზე გააცილეს ეროვნული კატეგორიის არბიტრი იოსებ შალამბერიძე, სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტმა რომან შოთაძემ და სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარემ ანატოლი მილჩენკომ ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვეს ღვაწლმოსილი მსაჯი.

მეორე ტაიმის დაწყებისთანავე კარლოსმა ვოლკოვის კარის აღება განიზრახა, თუმცა მეკარემ ბურთი ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა. 56-ე წუთზე ბურდული - გოგობერიშვილის შეთანხმებულმა თამაშმა შედეგი გამოიღო. 1-0 „დინამო" დაწინაურდა. მეორე და მესამე გოლის გატანა დინამოელებმა მალევე მოახერხეს. 64-ე და 75-ე წუთებზე დარასელიამ და ალექსიძემ ანგარიში სამამდე გაზარდეს. პრესტიჟის გოლი „სიონის" ფეხბურთელმა ლევან შავგულიძემ კი 78-ე წუთზე გაიტანა, გოლი, რომელიც ძალზე შთამბეჭდავი აღმოჩნდა.

როგორც თასის ფინალში, ისე ამ თამაშშიც ერთიდაიგივე ანგარიშით დასრულდა შეხვედრა. „დინამო" ჩემპიონია", — აი, ასეთი შეძახილები ისმოდა გულშემატკივრებიდან. შეხვედრის შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ქრიამული ატყდა. მართალია, წვიმიანი ამინდი ხელს უშლიდა დაჯილდოებას, მაგრამ გახარებულ დინამოელებს და მის მთავარ მწვრთნელს ივო შუშაკს, ამინდისთვის ყურადღება სულაც არ მიუქცევიათ. ხორვატი რამდენჯერმე ჰაერში შეათამაშეს და მედლების მისაღებად გაეშურნენ. ოქროს მედლები, გაბრწყინებული სახეები და მხიარულება დიდხანს გაგრძელდა.

„ის გზა, რომელიც ჩვენ გავიარეთ, იოლი არ ყოფილა, მაგრამ როგორც ხედავთ, ყველა სიძნელე გადავლახეთ. ჩვენი გამარჯვება ალბათ იმიტომაც არის ლოგიკური, რომ მთელი ჩემპიონატი ვლიდერობდით. მართალია, შეცდომები იყო, მიზეზებს კი საკუთარ თავში ვეძებდით და არა სხვაგან. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს შეგირდებს, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთზე ფიქრით ცხოვრობდნენ. ის ორი ტიტული, რომელიც დავიმსახურეთ, იოლი მოსაპოვებელი ნამდვილად არ ყოფილა, მაგრამ მთავარია, მოვიგეთ, რითაც უზომოდ ბედნიერი ვარ".

**ლ. ჯანკოტაძე**

# თბილისმა კაკილაშვილი აირჩია

**გუშინ, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გაიმართა თბილისის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა, რომელზეც ოთხი წლის ვადით, თფფ-ს პრეზიდენტად აირჩიეს ეროვნული სტადიონის დირექტორი, ვეტერანი ფეხბურთელი ნუკრი კაკილაშვილი. იგი დედაქალაქის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობას შარშანდლიდან ასრულებდა, ახლა ეს პოსტი ერთი საარჩევნო ვადით ჩაიბარა. თფფ-ს ახალი აღმასკომის წევრთა რაოდენობა 13 კაცით განისაზღვრა. სარევიზიო კომისიისა - 3 კაცით. ყრილობამ ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტად აირჩია დავით შარიქაძე და დაამტკიცა ახალი წესდება.**

# ცვლილებები ქართულ გუნდებში

საფეხბურთო სეზონი დასრულდა, მაგრამ საფეხბურთო სამყარო კლუბებში სიახლეებზე და ცვლილებებზე აქედანვე ალაპარაკდა. თბილისის „დინამო" დუბლის მომგებ ხორვატ მწვრთნელთან ივო შუშაკთან კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს. ჩემპიონმა და თასის მფლობელმა მომავალი სეზონის მოსამზადებელი გეგმაც დასახა. გუნდს შვებულება 18 ივნისს დაუმთავრდება, ერთკვირიანი შინაური ვარჯიშისა და სამედიცინო შემოწმების შემდეგ, **23 ივნისიდან 12 ივლისამდე „დინამო" გერმანიაში რუიტის ბაზაზე გააგრძელებს მზადებას.**

სხვა ვითარებაა რკინიგზელთა გუნდში. ჩემპიონობის მოსურნე „ლოკომოტივი", წლეულს, მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა. გუნდის პერუელ მწვრთნელს ლუის ცაკარიასს კონტრაქტის ვადა ივნისში ეწურება და არც იგი, არც კლუბის მესვეურები კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობენ.

უკრაინელი მთავარი მწვრთნელისა და კლუბის ხელმძღვანელების გარეშე დარჩა ვერცხლის მედალოსანი ქუთაისის „ტორპედო". გადადგა მეორე მწვრთნელიც ნოდარ ჭელიძე. თუ როგორ წარიმართება გუნდის ბედი მომავალში, ამას, ალბათ, უახლოეს დღეებში შევიტყობთ.

# მსაჯები შუაგულ ევროპაში

ეროვნული ჩემპიონატები დასრულდა, მაგრამ საერთაშორისო საფეხბურთო ცხოვრება გრძელდება. რამდენიმე დღეში 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გაიმართება, თვის ბოლოს კი ინტერტოტოს თასის გათამაშება დაიწყება. ამ ტურნირებში ქართულ გუნდებთან ერთად ქართველი მსაჯებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მალტა-კვიპროსის შესარჩევ მატჩს 6 ივნისს გაუძღვებიან: მერაბ მალალურაძე, გურამ ჩიგოგიძე, ლაშა სილაგავა და ლევან ფანიაშვილი. 21-22 ივნისს უნგრეთის მეორე გუნდისა და ბულგარეთის გუნდის მატჩს ინტერტოტოს თასზე მოემსახურებიან: სერგო კვარაცხელია, მამუკა ელიკაშვილი და გოჩა ცირდავა. ასევე ინტერტოტოს მატჩს 5-6 ივლისს, ჰოლანდიისა და ლატვია — შვეიცარიის გუნდებს შორის გამარჯვებულის შეხვედრას იმსაჯებენ: ლევან ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი და კობა გაბრიაძე.

# პირველი ლიგა, XXX ტური

**გურია — კოლხეთი (ხ) 1-0**
**ივერია — ლოკომოტივი2 3-3**
**სამგურალი — მცხეთა 3-1**
**ლოკომ. (სამტ) — დინამო2 0-2**
**ცხინვალი — მერცხალი 2-1**
**ჭაბ. ნაკრ. — ქობულეთი 0-0**
**თსუ — ალაზანი -მერანი 3-0**
**სპარტაკი — ლაზიკა 2-0.**



## საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაზიკა | 30 | 19 | 7 | 4 | 64-30 | 64 |
| მერცხალი | 30 | 19 | 7 | 4 | 62-29 | 64 |
| მცხეთა | 30 | 17 | 7 | 6 | 50-23 | 58 |
| სამგურალი | 30 | 15 | 8 | 7 | 42-26 | 53 |
| სპარტაკი | 30 | 15 | 4 | 11 | 49-31 | 49 |
| ქობულეთი | 30 | 14 | 6 | 10 | 27-23 | 48 |
| ცხინვალი | 30 | 14 | 6 | 10 | 37-26 | 48 |
| დინამო2 | 30 | 13 | 6 | 11 | 37-29 | 45 |
| ლოკომ2 | 30 | 11 | 11 | 8 | 32-25 | 44 |
| თსუ | 30 | 10 | 8 | 12 | 28-33 | 38 |
| ივერია | 30 | 10 | 7 | 13 | 38-41 | 37 |
| გურია | 30 | 9 | 7 | 14 | 32-44 | 34 |
| ჭაბ.ნაკრ. | 30 | 9 | 5 | 16 | 38-46 | 32 |
| კოლხეთი (ხ) | 30 | 6 | 5 | 19 | 17-44 | 23 |
| ალაზ-მერ. | 30 | 5 | 6 | 19 | 30-77 | 21 |
| ლოკ.(სამტრ) | 30 | 3 | 2 | 25 | 24-81 | 11 |

# ბოლო ტურის სტატისტიკა

### ტორპედო — ლოკომოტივი 2-1

**ქუთაისი. 30 მაისი. სტადიონი „ტორპედო" 4000 მაყურებელი.**

**ტორპედო:** სტურუა, ლ. ჭელიძე, მახვილაძე, ნერგაძე, თოდუა, ახალკაცი, გამეზარდაშვილი, პოროშინი, კვეტენაძე (ზ. ქუთათელაძე 46), ჩხეტიანი, იონანიძე.

**ლოკომოტივი:** ლომაია, ძამსაშვილი, გ. ონიანი, სალუქვაძე, თაყაიშვილი, რ. ონიანი, გოგინაშვილი, სალასარი, მ. ბურნაძე, სოსელია, კობახიძე (სანიკიძე 66).

**გოლები:** 0-1 რ. ონიანი (12), 1-1 იონანიძე (58), 2-1 ქუთათელაძე (76).

**გააფრთხილეს:** ძამსაშვილი (70)

**მსაჯი:** კ. მესხი (ზუგდიდი)

### კოლხეთი 1913 — ვიტ ჯორჯია 2-2

**ფოთი. 30 მაისი, სტადიონი „ფაზისი" 500 მაყურებელი.**

**კოლხეთი:** ა. ლაბაძე, ქუტიძე, მ. ქობულაძე, გოროზია (ხაჟომია 80), ნარსია (ლოლუა 86), შ. ლონლაძე, გაბიდაური, ტულუში, კრასოვსკი, მარგალიტაძე (გაგუა 35), გონჩაროვი.

**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, კობიაშვილი, ლ. მერებაშვილი (კვახაძე 68), ინწკირველი, დილმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ფეიქრიშვილი (დ. დოლიძე 46), ბოლქვაძე, გველესიანი, ყიფიანი (ვ. გოჩაშვილი 46), მელქაძე.

**გოლები:** 0-1 ბოლქვაძე (4), 0-2 მელქაძე (67), 1-2, 2-2 გონჩაროვი (85 პ, 89).

**მსაჯი:** ა. მეშკოვი (თბილისი).

### დინამო (თბ) — სიონი 3-1

**თბილისი. ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი. 30 მაისი. 400 მაყურებელი.**

**დინამო:** ზოიძე, კარლოსი (ახალაია 73), ხიზანეიშვილი, შაშიაშვილი, ამისულაშვილი, ა. სახვაძე, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, ანჩაბაძე (კანდელაკი 78), ალექსიძე.

**სიონი:** ვოლკოვი, ა. ბურნაძე, გოგიტაძე, ხუჯაძე, დ. სვანიძე, გაბისკირია, ფანჩულიძე (ისიანი 65), დაუშვილი, დათვაძე (ლ. შავგულიძე 65), ბაქრაძე, ე. გვასალია.

**გოლები:** 1-0 გოგობერიშვილი (55), 2-0 დარასელია (62), 3-0 ალექსიძე (74), 3-1 შავგულიძე (77).

**გააფრთხილეს:** ხიზანეიშვილი (43)

**მსაჯი:** ზ. ანიაშვილი (გორი).

### მეტალურგი — დინამო (ბთ) 0-4

**ზესტაფონი. 30 მაისი. ცენტრალური სტადიონი. 200 მაყურებელი.**

**მეტალურგი:** სხულუხია, წიქარიშვილი, ხარატიშვილი, კვანტრიშვილი, მიქაბერიძე, შველიძე, ჭუმბურიძე, კაპანაძე, ნასრაძე (მაღლაკელიძე 18), მამუკაშვილი (შავგულიძე 51), მანჯავიძე (ომულაძე 83).

**დინამო:** ბალაძე, მახარაძე, ცინარიძე, გუშარაშვილი, (კუკულავა 46), დუმბაძე, ქაცარავა, შენგელია, დარჩიძე (ცანავა 46), რომანაძე (სეფერთელაძე 53), ფურცხვანიძე, ბეჟანიძე.

**გოლები:** 0-1 გუშარაშვილი (2), 0-2 ბეჟანიძე (14), 0-3 ფურცხვანიძე (39), 0-4 შენგელია (43).

**გააფრთხილეს:** მაღლაკელიძე (67)

**მსაჯი:** ა. შალაკაძე (თბილისი)

### მერანი — ოლიმპი — გორდა 0-1

**თბილისი. 30 მაისი. ავლაბრის სტადიონი. 300 მაყურებელი.**

**მერ-ოლი:** ჯინჭარაძე, ნადირაშვილი, ხარებავა (დავითაშვილი 51), მესხი, ელიავა, კიკაჩეიშვილი (აფციაური 46), გოგუა, მიკუჩაძე, მიქიაშვილი, ლოლაძე, გ. ნუგ. ჭელიძე.

**გორდა:** ჯანიაშვილი, კედელაშვილი, არსოშვილი, ბერიძე, სილაგაძე, ზ. ლაბაძე, ჩოხელი (პაპაშვილი 65), ზვ. ლაბაძე, ნოზაძე, ადეიშვილი, ლ. ალადაშვილი.

**გოლი:** 0-1 სილაგაძე (7)

**გააფრთხილეს:** ზ. ლაბაძე (82)

**მსაჯი:** ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

### დილა — მილანი 3-1

***გორი. 30 მაისი. თ. ბურჯანაძის სახელობის სტადიონი. 200 მაყურებელი.***

**დილა:** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, საყვარელიძე, სულთანიშვილი (ოლგესაშვილი 76), ბ. ჩიტაია (ალ. ლაბაძე 67), გილაური, მორჩილაძე, ახალაძე (მარლიშვილი 87), მუშკუდიანი, ლ. გოჩაშვილი.

**მილანი:** მამალაძე, ანჯაფარიძე, ლამბაშიძე, მეტონიძე, ეცადეიშვილი, ხაჩიძე, ეგაძე, აკობია, ბაჯელიძე, ღუღუნაძე, მედოევი.

**გოლები:** 1-0 საყვარელიძე (10), 1-1 მედოევი (14 პ), 2-1, 3-1 მუშკუდიანი (83, 88).

**გააფრთხილეს:** ახალაძე (82)

**მსაჯი:** ს. კვრაცხელია (ზუგდიდი).

## საბოლოო სატურნირო ცხრილი

### I-VI ადგილებისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო (თბ) | 10 | 6 | 2 | 2 | 17-7 | 48 |
| ტორპედო | 10 | 6 | 2 | 2 | 15-5 | 46 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 4 | 4 | 2 | 10-7 | 41 |
| ლოკომოტივი | 10 | 4 | 1 | 5 | 16-10 | 38 |
| სიონი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-20 | 23 |
| კოლხეთი1913 | 10 | 0 | 5 | 5 | 5-23 | 20 |

### VII-XII ადგილებისათვის

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დილა | 10 | 5 | 3 | 2 | 15-8 | 29 |
| დინამო (ბთ) | 10 | 5 | 3 | 2 | 12-5 | 28 |
| მერანი-ოლიმ. | 10 | 4 | 3 | 3 | 15-5 | 27 |
| გორდა | 10 | 5 | 3 | 2 | 8-3 | 25 |
| მილანი | 10 | 3 | 4 | 3 | 7-7 | 20 |
| მეტალურგი | 10 | 0 | 0 | 10 | 0-29 | 10 |

### ბომბარდირები

26 — იონანიძე (ტორპედო); 21 — მელქაძე (ვიტ ჯორჯია); 15 — დარასელია (დინამო თბ).

## საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა კოლეგიის 80 წლისთავისათვის



რუბრიკას უძღვება ვეტერანი მსაჯი ელდარ ჩიფჩიური

# ფეხბურთის მსაჯი სპორტის დიდ სამსახურში

მასთან საუბარში ბევრს გაიგებ. სიკეთით გაგაოცებს და რწმენას გაგიღვივებს. წარსულს თუ შექმნილ ვითარებას ანალიზს გაუკეთებს, ბოლოს ყველა ნიუანსს სიკეთის წერტილს დაუსვამს, გულში იმედის მარცვალს გაგიღვიძებს და ოპტიმიზმით სავსე სიტყვებით ძალას შეგმატებს. ადამიანთა შორის ურთიერთობებსაც სინანულით გაარკვევს, სინდისს წინა პლანზე წამოსწევს. ყოველთვის გულახდილობას და ურთიერთშენდობას ქადაგებს. აბსტრაქტულობა არ ახასიათებს. ის ყოველთვის პრაქტიკული რეალობისკენ ილტვის. შრომის სარბიელზე სიხარულიც ბევრი ჰქონია და უმძიმესი დღეებიც. ბევრჯერ გაუგებრობის წნეხშიც მოქცეულა, მაგრამ ვაჟკაცური სული მაინც ბოლომდე შეუნარჩუნებია. ცხოვრებაში ბევრი ათას ნიღაბს ირგებს თავის წარმოსაჩენად. ეს მას არ დასჭირვებია, რაც ღმერთმა უბოძა, პირველყოფადი სიკეთე და გახსნილი გონება, ბოლომდე შემორჩა.

— ცხოვრების სცენამ არ უნდა გაგტეხოს. კაცმა უკადრისი არ უნდა იკადროო — იტყვის ხოლმე.

დავით კვინიკაძე ქ. ხაშურში დაიბადა. ფეხბურთსაც პირველად აქვე ეზიარა. გამორჩეული ყმაწვილი, ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა ჩარიცხეს ხაშურის „ლოკომოტივში“, სადაც 1957-58 წლებში თამაშობდა, 1959 წელს გამოდიოდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში. 1958-61 წლებში საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდის ღირსებას იცავდა. ხოლო 1962-63 წლებში საბჭოთა კავშირის პირველობის „ბ“ ჯგუფში მოასპარეზე რუსთავის „მეტალურგის“ ძლიერ გუნდში თამაშობდა. 60-იანი წლების მიწურულს, ფეხბურთის თამაშის მიტოვების შემდეგ, ბურთს მაინც ვერ ჩამოშორდა და გულმა ფეხბურთის მსაჯის რთულ პროფესიისკენ გაუწია. მსაჯობა არ გასჭირვებია. თავიდანვე ყველაფერი კარგად გამოუვიდა და, უნდა ითქვას, საკმაოდ წარმატებულადაც. 1973 წელს რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭა. ამავე წელს შედიოდა საქართველოს ფეხბურთის მსაჯთა საუკეთესო ათეულში. მსაჯობის პარალელურად, 1971-74 წლებში, არჩეული იყო და მუშაობდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მდივნად და პრეზიდიუმის წევრად. მიუხედავად იმისა, რომ დათო, ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პოლიტექნიკურ ინსტიტუტში და სახელმწიფო უნივერსიტეტშიც სწავლობდა, მან მთელი თავისი საქმიანობა მთლიანად ქართული სპორტის სამსახურს დაუკავშირა.

დ. კვინიკაძე დიდ სპორტში სამსახურს მსაჯობიდან იწყებს. შემდეგ კი... 1974 წელს საქართველოს სპორტკომიტეტში მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სამმართველოს უფროსად ნიშნავენ. 1978-86 წლებში, საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის სამმართველოს უფროსის პოსტს იკავებს. 1986 წელს კვლავ სპორტკომიტეტში ბრუნდება და ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილის ფუნქციას ასრულებს. ხოლო 1990 - 1998 წლებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივნის თანამდებობაზეა. 1989-1990 წლებში, ამ მეტად რთულ, გარდამტეხ პერიოდში მას საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობის მომზადებისა და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეობა დაევალა. იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის I-II-III ყრილობების თავმჯდომარე და სხვა.

ნიჭმა, ადამიანებს შორის ხალასმა დამოკიდებულებამ, ერუდიციამ და განათლებამ მრავალი დაბრკოლება გადაალახვინა და ბევრი სასიკეთო საქმეები აკეთებინა.

როცა განათლების სამინისტროში მოვიდა, ეს იყო 1978 წელი (მე მაშინ განათლების სამინისტროს დაგეგმვისა და აღრიცხვ-ანგარიშგების რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის დირექტორად ვმუშაობდი) ყოველგვარი თავის გამოჩენისა და ემოციების გარეშე უხმოდ შეუდგა თავის საქმეს. გარდაქმნა რა მუშაობა, სულ მოკლე პერიოდში სასურველ შედეგებსაც მიაღწია. თუ იმ წლებში განათლების სკოლის ასაკის ბავშვების მიღწევებს თვალს გადავავლებთ, ამაში ნათლად დავრწმუნდებით.

ეს ის პერიოდია, როცა განათლების სამინისტროს სისტემაში ყოველწლიურად ხუთი სპეციალიზირებული სპორტული სკოლა ემატებოდა ადრინდელს. ამ დროს შეიქმნა სპეციალიზირებული საფეხბურთო სკოლები გორში, სოხუმში, თელავში, ცხინვალში და ლესელიძეში. ბათუმში სპორტული თამაშობების და ტანვარჯიშის; თბილისში გაიხსნა მხატვრული ტანვარჯიშის, კრივის, ცხენოსნობის, ჭადრაკის, მეკლდეურობის და ჭიდაობების სპორტული სკოლები. უნდა აღინიშნოს, რომ მაშინ საბჭოთა კავშირის მასშტაბით ანალოგი არ ჰქონდა თბილისში დაარსებულ ფეხბურთისა და კალათბურთის პროფილის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს. მოსწავლე სპორტსმენები უზრუნველყოფილნი იყვნენ უფასო საძინებლით, კვების ბლოკით და სამედიცინო მომსახურებით.

მუშაობა ამ დიდბუნებოვან პიროვნებებთან რთული და ამავ დროს საოცრად საინტერესოც იყო. მაგრამ დათო თავისი მაღალპროფესიონალიზმით და უშუალობით თავს ადვილად ართმევდა დაკისრებულ მოვალეობას.

ერთი ეპიზოდი უნდა გავიხსენო:



მარცხნიდან: ნოდარ ახალკაცი და დავით კვინიკაძე...

— განათლების სამინისტროში, ყოველ ორშაბათს დილის 9 საათზე ხელმძღვანელი მუშაკების ტრადიციული თათბირი იმართებოდა ხოლმე. ერთხელ ერთმა სამმართველოს უფროსმა, ცნობილმა ფილოლოგმა, კვირის შედეგების თაობაზე წერილობით ინფორმაცია წარუდგინა მინისტრს. ბატონ ო. ქინქლაძეს. მინისტრმა გულდასმით ჩაიკითხა, ავტორს გახედა და წყენანარევი ხმით მიმართა: — „თუ წერა არ იცი, კვინიკაძეს მიებარე, წერას გასწავლისო“. იქვე მჯდომმა უშ. ობოლაძემ თავისებურად ჩაიქირქილა და დაუმატა: — „ეს ჩვენი სამინისტროს მეტად დიდი დამსახურებაა, ხომ ხედავთ, სპორტსმენებს ჩვენზე გამართული წერა ვასწავლეთო“. შემდეგ ეს ყველაფერი სამხიარულო ვითარებაში გადაიზარდა და ყველამ ბევრი ვიცინეთ.

ჩემი მოგონება არ არის გასაკვირი.

— დათოს მამას, აწ განსვენებულ ბატონ ვასოს, უაღრესად განათლებულ, პატრიოტ, ლიტერატურის დიდ მცოდნეს და ქართული სუფრის მოწყობის ოსტატს, ხელოვნების, კულტურის თუ სპორტის გამოჩენილი არაერთი მსახურისათვის უმასპინძლია. განსაკუთრებით ჩვენს სასიქადულო პოეტს გიორგი ლეონიძეს ჰყვარებია თურმე მასთან სტუმრობა და მოლხენა.

ერთ-ერთი სტუმრობის დროს დიდ პოეტს ლექსიც მიუძღვნია მისთვის

„ამ კუთხეში მასპინძლობა
არ მიანდოთ სხვასო,
როცა წრომში ჩამოვდივარ
სულ მმასპინძლობს ვასო“

ოჯახის ტრადიცია დათომაც ღირსეულად გააგრძელა. დღესაც მისი მეგობრები ხშირად ვიკრიბებით მასთან.

ერთი უცნაურობა სჭირს. სხვას დაეხმარება, უთანაგრძნობს, თვითონ კი თავის თავზე ნაკლებად ფიქრობს.

ერთხელ ერთ-ერთი მწვრთნელი, რომელსაც საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის მუშაკის წოდებას ანიჭებდნენ და რომლის წარდგინებაზეც დ. კვინიკაძეს უნდა მოეწერა ხელი, შეეკითხა, ყველას წოდებებს ანიჭებ, შენ კი ერთი წოდებაც არ გაქვსო. ყველას გაქვთ და მე რაღათ მინდაო — იყო პასუხი.

სულ ფუსფუსებს, სულ რაღაცის ძიებაშია. უქმად ვერ ნახავთ. ის კვლავაც ფორმაშია, კვლავაც ბევრის გაკეთება შეუძლია.

# გიორგი შაშიაშვილი: „ფეხბურთი შეიძლება ყველამ ვერ ითამაშოს, მაგრამ სადღეგრძელოს თქმა ყველას უნდა შეეძლოს“

***გიორგი შაშიაშვილი — დაიბადა 1979 წლის 1 სექტემბერს, თბილისში. ფეხბურთის თამაში შვიდი წლისამ დაიწყო. მისი პირველი გუნდი „მთვარის გლობუსი“ იყო, რომელსაც გია მაისურაძე წვრთნიდა. 1997 წელს ზურაბ მაისურაძის ინიციატივით ჩაირიცხა თბილისის „დინამოში“, რომლის ღირსებას ახლაც იცავს. სანაკრებო დებიუტი შედგა აზერბაიჯანის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაში.***

— „მთელი ჩემი ბავშვობა ფეხბურთს მივუძღვენი. განსაკუთრებით თბილად მახსენდება ის პერიოდი, როდესაც „მთვარის გლობუსში“ გამოვდიოდი. ეს გუნდი დიდ წარმატებებს აღწევდა, ბევრჯერ გავხდით საქართველოს ჩემპიონები“ — ამბობს ჩვენი რესპოდენტი.

● ***თამაშობ თბილისის „დინამოში“, რაც თავისთავად დიდი პატივია, მაგრამ უფრო მაღალი ნდობაა, ამავე დროს იყო ამ გუნდის კაპიტანი, როგორ გრძნობ თავს ამ ამპლუაში, ეს ხომ არც ისე იოლია?***

— ბევრი რამ იმაზედაც არის დამოკიდებული, როგორ ითამაშებ. მართალი ხარ, „დინამოს“ კაპიტნობა დიდი პატივია.

● ***როგორც კაპიტანმა, შეგიძლია მითხრა რამე „დინამოს“ გეგმებზე?***

— ალბათ უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ჯერ იმაზე თუ ვიტყოდი, რა გეგმებიც გვქონდა. მიზნად ვისახავდით თასის მოგებას და ჩემპიონობას, რასაც მივაღწიეთ კიდეც. რაც შეეხება მომავალს, თავისთავად სასიამოვნო იქნება თუ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოვალთ.

● ***მზადებას როდის იწყებთ?***

— მალე ალბათ გერმანიაში წავალთ შეკრებებზე. და სერიოზულად მოვემზადებით. როგორც იცი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის გავლა და ფინალურ ეტაპზე გასვლა რთული ამოცანაა. ასე რომ, ყველანაირად ვემზადებით სამომავლო წარმატებებისთვის.

● ***ორიოდე სიტყვით ნაკრებზეც გვითხარი რამე. ეროვნული ნაკრების კაპიტანიც ხომ იყავი „მოლდოვასთან“...***

— ჩემთვის ეს მართლაც მოულოდნელი იყო. ძალიან გამიხარდა, როდესაც ალექსანდრე ჩივაძემ კაპიტნობა ჩამაბარა. ვფიქრობ, ცუდი თამაში არ ყოფილა და, საერთოდ, ნაკრების წინსვლა უკვე ჩანს.

● ***რუსეთთან თამაშს ალბათ დიდი მონდომებით ელოდებოდი...***

— რა თქმა უნდა. მართალია, მეორე ტაიმში გავედი მოედანზე, მაგრამ დიდი მონდომებით ვთამაშობდი. რუსეთთან ის მატჩი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო და ყველანი ძალიან ბედნიერები ვიყავით გამარჯვებით.

● ***რას იტყვი ივო შუშაკზე, ის ხომ ნაკრების მთავარ მწვრთნელადაც დანიშნეს, მართალია, დროებით, მაგრამ მაინც...***

— ძალიან კარგი ადამიანია, არა მარტო თავის პროფესიაში, არამედ ფეხბურთის მიღმაც. მას შეუძლია ჩვენი გულისთვის ბევრ რამეზე წავიდეს. ნაკრებს დიდი ენთუზიაზმით ავარჯიშებდა და კიდეც დავუფასეთ.

● ***„დინამოს“ მატჩებში ხომ ასევე უმართლებთ მწვრთნელს...***

— რასაკვირველია, ბედნიერი იყო, როდესაც თასი ავიღეთ და, ბუნებრივია, ორმაგად ბედნიერია, როცა ქვეყნის ჩემპიონის ტიტულიც მოვიპოვეთ 30 მაისს.

● ***არის თუ არა შემოთავაზებები, პირადად შენზე სხვადასხვა გუნდებიდან?***

— ჯერჯერობით არა. „დინამოსთან“ კიდევ ერთი წელი მაკავშირებს, შემდეგ ვნახოთ...

● ***გულახდილი ხარ და პასუხსაც ასეთს მოველი — როგორი პიროვნებაა „დინამოს“ კაპიტანი გიორგი შაშიაშვილი ფეხბურთის მიღმა?***

— ძალიან წყნარი, მშვიდი ოჯახის მოყვარული. ჩემი პატარა სანდრო და ოჯახი, ჩემთვის ყველაფერია.

● ***თავისუფალ დროს ოჯახს უთმობ?***

— დიახ, ასეა. თამაშის შემდეგ დაღლილი, შინ სანდროს ვეთამაშები და შეიძლება ითქვას, რომ ამ თამაშს მდგომარეობიდან გამოვყავარ.

● ***იმედგაცრუება თუ განგიცდია?***

— ბევრჯერ.

● ***მაინც...***

— რამდენიმე თამაში ისე ვერ ვითამაშე, როგორც საჭირო იყო. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა.

● ***რამ შეიძლება ყველაზე მეტად გაგაღიზიანოს?***

— ძალიან იშვიათად ვბრაზდები, მაგრამ ვერ ვიტან, როდესაც უსამართლოდ რამეს მაბრალებენ.

● ***ალკოჰოლთან როგორა ხარ?***

— ძმაკაცურად არ ვარ, ხანდახან თუ წავეთამაშები, ისიც მაშინ, თუ მნიშვნელოვანი თამაში მოვიგეთ.

● ***გითამადია როდესმე?***

— როგორ არა, სადღეგრძელოებიც მეხერხება. ფეხბურთი შეიძლება ყველამ ვერ ითამაშოს, მაგრამ ყველა ქართველ კაცს უნდა შეეძლოს თამადობა და სადღეგრძელოს თქმა.

ახალი თაობის ფეხბურთელები



● ***სუფრიდან დავუბრუნდეთ ფეხბურთს. ვის გულშემატკივრობდი ჩემპიონთა ლიგის ფინალში?***

— რასაკვირველია, „მილანს“. რაღა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ყველასთვის, როდესაც ჩემპიონთა ლიგის ფინალში ქართველი მონაწილეობს. „მილანის“ გამარჯვება უდიდესი წარმატებაა ჩვენი ქვეყნისთვისაც.

● ***გიორგი, რას უსურვებ ქართულ ფეხბურთს?***

— წინსვლას, რომელიც უკვე ნამდვილად ეტყობა, როგორც ჩემპიონატს, ისე ნაკრების თამაშებს. ჩემი დიდი სურვილია საკუთარი წვლილი შევიტანო ამ წარმატებებში.

● ***რას იტყოდი მათზე, ვინც ახლა ათვითცნობიერებს ფეხბურთის სამყაროს, პირველ ნაბიჯებს დგამს ფეხბურთში...***

— ძალიან კარგი თაობა მოდის, რაც ყველას გვახარებს. მათ ერთს ვეტყოდი. იშრომეთ გატაცებით და ფეხბურთის დიდი სიყვარულით, მიზანსწრაფულად, რაც უთუოდ გაგიყვანთ დიდ საფეხბურთო ორბიტაზე. წინამორბედებზე უკეთ მომავალმა უნდა ითამაშოს, ქართულ გენში არის დიდი პოტენცია.

ესაუბრა ლელა ჭანკოტაძე

## თქვენთვის, ერუდიტებო!

1). ვის ეკუთვნის გამონათქვამი: „არ არის საჭირო იყო მოწინააღმდეგეზე ძლიერი საერთოდ, უნდა სძლიო მას კონკრეტულ მატჩში.“

ა) ბეკენბაუერს
ბ) პელეს
გ) დუნგას

2). რომელი მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდა ფინალისტების გამოუვლენად?

ა) მეოთხე (1950 წ)
ბ) მეცხრე (1970 წ)
გ) მეათე (1974 წ)

3). რომელ წელს და რომელ ჩემპიონატში ეწოდა „ოქროს ნიკეს“ „ჟიულ რიმეს თასი“?

ა) 1938 წ (მესამე ჩემპიონატში)
ბ) 1950 წ (მეოთხე ჩემპიონატში)
გ) 1954 წ (მეხუთე ჩემპიონატში)

4. დაასახელეთ სსრკ-ის ნაკრების ფეხბურთელი, რომელმაც პირველი გოლი გაიტანა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში.

ა) ვოინოვი
ბ) ილინი
გ) სიმონიანი

5. დაასახელეთ ფეხბურთში მსოფლიო X ჩემპიონატის ბომბარდირი.

ა) ლიატო
ბ) ნეესკენსი
გ) მიულერი

პასუხები: 1— ბ, 2 — ა, 3 — ბ, 4 — გ, 5 — ა.

# საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

## კახი კალაძეს – იტალიის თასი, შოთა არველაძეს – შოტლანდიისა...

გასულ შაბათ-კვირას გაიმართა ევროპის ქვეყნების ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები. ფეხბურთის გულშემატკივართა დიდ ინტერესს იწვევდა ***ესპანეთის პრიმერადივიზიონის*** მორიგი, 36-ე ტური, რომლის შედეგებითაც გაირკვა იმ სამი გუნდის ვინაობა, რომლებმაც ესპანეთის ელიტარულ ეშელონში დაკარგეს ადგილი. „ოსასუნამ" სტუმრად 2-0 დაამარცხა „ვალიადოლიდი", დააგროვა 41 ქულა და ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე მიუწვდომელი გახდა "ყველასათვის", „ალავესისა" და „რაიო ვალეკანოსათვის".ახლა რაც შეეხება ჩემპიონობის კანდიდატებს. ოქროს მედლებისათვის ბრძოლას ძირითადად „სოსიედადი" და „რეალი" აგრძელებენ, შედარებით მოკრძალებული შანსი აქვს „დეპორტივოს".

34-ე ტურში მადრიდის „რეალი" 0-1 აგებდა საკუთარ მოედანზე „სელტასთან", მაგრამ რაულმა 70-ე წუთზე გატანილი გოლით სირცხვილს გადაარჩინა სამეფო კლუბი.

„რეალ სოსიედადს" ასეთ ვითარებაში უნდა მოეგო „ვალენსიასათვის" და „რეალთან" სხვაობას ოთხ ქულამდე გაზრდიდა. სან-სებასტიანელები დაწინაურდნენ კიდეც ტაბი ალონსოს გოლით, მაგრამ ამ უპირატესობით მხოლოდ ორი წუთით გაძლეს: 35-ე წუთზე რევეირმა წონასწორობა აღადგინა.

37-ე ტურის წინ სატურნირო ცხრილის პირველ საფეხურზე მყოფ „სოსიედადს" 73 ქულა აქვს და ერთი ქულით უსწრებს მადრიდის „რეალს". 69 ქულით მესამე ადგილზეა „დეპორტივო".

36-ე ტურის ***სხვა შეხვედრები*** ასე დასრულდა: „დეპორტივო" — „ატლეტიკო" 3-2, „ალავესი" — „ბეტისი" 0-1, „მალიორკა" — „რაიო ვალეკანო" 1-1, „ვილიარეალი" — „ბილბაო" 1-1, „ბარსელონა" — მალაგა" 2-1, „სევილია" — უელვა" 1-0.

გასული უქმეები იღბლიანი გამოდგა კახი კალაძისათვის და შოთა არველაძისათვის. კალაძის „მილანმა" მეხუთედ მოიპოვა ***იტალიის თასი.*** მილანელებმა ეს სანუკვარი ჯილდო პირველ ფინალურ მატჩში დაიბევეს, როცა სტუმრად 4-1 გაანადგურეს „რომა". განმეორებითი შეხვედრა ფრედ (2-2) დასრულდა და „სან-სიროზე" შეკრებილმა 76 ათასმა მაყურებელმა „მილანთან" ერთად გაიხარა.

***შოტლანდიის ჩემპიონობას*** ამ ქვეყნის თასიც დაუმატა შოთა არველაძემ, რომლის „რეინჯერსმაც" შოტლანდიის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში გიორგი ნემსაძისა და ზურაბ ხიზანიშვილის „დანდი" დაამარცხა ლორენცო ამორუზოს ერთადერთი გოლის წყალობით.








ახლა სხვა სათასო მატჩებზე. ***გერმანიის თასის*** გათამაშების ფინალში ერთმანეთს უკვე გაჩემპიონებული მიუნხენის „ბაიერნი" და „კაიზერსლაუტერნი" დაუპირისპირდნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, თამაში „ბაიერნის" უპირატესობით წარიმართა. ანგარიში უკვე მე-3 წუთზე გახსნა ბალაკმა. მანვე 7 წუთში ზუსტად გამოიყენა „კაიზერსლაუტერნის" კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი.

50-ე წუთზე პისარომ გამოიჩინა თავი და ანგარიში 3-0 გახდა „ბაიერნის" სასარგებლოდ. დარჩენილ დროში „კაიზერსლაუტერნმა" ერთი საპასუხო გოლის გატანა მოახერხა. საბოლოოდ, მიუნხენელებმა გაიმარჯვეს 3-1.

***საფრანგეთის თასის*** გათამაშების ფინალურ მატჩში „ოსერმა" 2-1 სძლია „პარი-სენ-ჟერმენს". ბოლო წუთამდე 1-1 იყო და მაშინ, როცა ყველა დამატებითი დროისათვის ემზადებოდა, ბუმსონგმა მსაჯის მიერ ძირითადი დროისათვის წამატებულ წუთებზე გამარჯვების გოლი გაიტანა „პარი-სენ-ჟერმენის" კარში.

სენსაციური შედეგით დასრულდა ჰოლანდიური სათასო ფინალი. ყველასათვის მოულოდნელად „ფეიენოორდი" 1-4 დამარცხდა „უტრეხტთან".

და ბოლოს, ***რუსეთის ჩემპიონატის*** მე-11 ტურის შესახებ. ცსკ-მ კვლავ გააგრძელა გამარჯვებათა სერია და სტუმრად 2-0 მოუგო „კრილია სოვეტოვს". ფრედ (0-0) დასრულდა „სატურნისა" და ქვეყნის ჩემპიონის — მოსკოვის „ლოკომოტივის" შეხვედრა. პირველი გამარჯვება იზეიმა „ურალანმა", რომელმაც საკუთარ მოედანზე მინიმალური ანგარიშით (1-0) სძლია სანკტ-პეტერბურგის „ზენიტს".

მოსკოვის „სპარტაკი", როგორც ჩანს, კრიზისიდან ვერ გამოდის. რომანცევის გუნდმა 0-1 წააგო მატჩი სტუმრად „რუბინთან".

***სხვა მატჩები:*** „ტორპედო-მეტალურგი" — „ალანია" 3-1, „ჩერნომორეცი" — „როსტოვი" 2-2, „შინიკი" — „ტორპედო" 1-1, „დინამო" — „როტორი" 3-1.

მეთორმეტე ტურის წინ, სატურნირო ცხრილში 28 ქულით პირველ ადგილზეა ცსკა. გაზაევის გუნდი 8 ქულით უსწრებს უახლოეს მდევარს — მოსკოვის „დინამოს". 19 ქულით მესამე ადგილზეა „სატურნი".

## რევაზ ძოძუაშვილმა „სპარტაკ-ალანია" მიატოვა

**რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში, მოსკოვში, „ტორპედო-მეტალურგთან" დამარცხების შემდეგ ვლადიკავკაზში „სპარტაკ-ალანიას" აღარ გაჰყოლია მთავარი მწვრთნელი რევაზ ძოძუაშვილი. მან უარი განაცხადა გუნდთან მუშაობაზე.**

როგორც ჩანს, ვლადიკავკაზურ კლუბში ამ ერთი თვის წინ დაწყებულმა კრიზისმა აპოგეას მიაღწია. ახლახან „სპარტაკ-ალანიიდან" წასული გენერალური დირექტორის ბათრაზ ბითაროვის და სპორტული დირექტორის მიხაილ ზენდინის კვალს ძოძუაშვილიც გაჰყვა. როგორც „სპარტაკ-ალანიას" ვიცე-პრეზიდენტი ახსარბეკ კოკოევი აცხადებს, მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგთან" ჩატარებული მატჩის შემდეგ ძოძუაშვილი თავის შეგირდებს გასახდელშივე გამოთხოვებია.



„ძოძუაშვილი გუნდს ვლადიკავკაზში აღარ წამოჰყვა. ახლა ისიც არ ვიცი. თუ სად იმყოფება. ჯერჯერობით, წინასწარ არაფრის თქმა არ შეიძლება", — ამბობს კოკოევი.

— „სპარტაკ-ალანიაში" კარგი სპეციალისტები მუშაობენ. ეს იძლევა იმის საფუძველს, რომ წარმატებით ვიბრძოლოთ და არ გავაწბილოთ ჩვენი გულშემატკივრების იმედები. მე ყველაფერს ვილონებ, რათა „სპარტაკ—ალანიამ" დიდი გამარჯვებები მოიპოვეს", — ეს სიტყვები აწ უკვე ყოფილ მწვრთნელს რევაზ ძოძუაშვილს ეკუთვნის, რომელიც მან 11 მაისს გამართულ პრესკონფერენციაზე წარმოთქვა. მაშინ პრესკონფერენცია მოეწყო პრესაში გავრცელებულ ჭორებთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „სპარტაკ-ალანიას" ხელმძღვანელობის გადადგომას.

— „წაგებული მატჩის შემდეგ იმედის დაკარგვა არ შეიძლება, წინ ხომ კიდევ ბევრი თამაშები გვაქვს". — ამბობდა მაშინ რევაზ ძოძუაშვილი. ასეთი ოპტიმიზმი ძოძუაშვილისა საფუძველს მოკლებული ნამდვილად არ იყო. ვლადიკავკაზურმა კლუბმა მიმდინარე სეზონის დასაწყისში ხომ რამდენიმე ხმაურიანი გამარჯვება მოიპოვა, — მათ შორის მოსკოვის „სპარტაკთან" და „ლოკომოტივთან"... ზოგიერთი სპეციალისტი უკვე მიიჩნევდა, რომ ვლადიკავკაზელები ძველ, გაზაევის დროინდელი ტრადიციების დაბრუნების გზას ადგნენ, მაგრამ...

სკანდალი ბითაროვის გადადგომით დაიწყო. ძოძუაშვილმა ერთი კი იფიქრა ბათრაზს გვერდით დავუდგებიო, მაგრამ საბოლოოდ გუნდში დარჩა და ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, რომელიც დიდ მზრუნველობას იჩენს გუნდისადმი, თუმცა აშკარად ჩანდა, რომ „სპარტაკ-ალანიაში" ფინანსური პრობლემები აწუხებდათ. ამის მაგალითია ის, რომ რუსეთის ჩემპიონატის მეცხრე ტურის წინ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა — პაგაევმა, აშვეთიამ და მენთეშაშვილმა, რომლებმაც ეს ნაბიჯი მათდამი ხელფასების გადაუხდელობით ახსნეს. „ტორპედო-მეტალურგთან" მენთეშაშვილმაც ითამაშა და აშვეთიამაც, თუმცა ვერაფრით გამოიჩინეს თავი.

ასეთი სკანდალის აგორება და ფინანსური პრობლემების წამოჭრა კლუბის ამჟამინდელ პრეზიდენტს მიხაილ შატალოვს ბრალდება. სწორედ მასთან უთანხმოების გამო წავიდა ბითაროვიც. თუკი ასე გაგრძელდა, და ხელფასების გადაუხდელობის გამო ფეხბურთელებიც გაიქცნენ, ახლა, ჯერჯერობით, „სპარტაკ-ალანიაში" ალბათ, მხოლოდ შატალოვი დარჩება.

## ხიზანიშვილს ეპატიჟებიან „რეინჯერსში"



ხიზანიშვილი (შავ მაისურში) შაპუიზასთან ორთაბრძოლისას

შოტლანდიური საფეხბურთო კლუბ „დანდის" პრეზიდენტმა ჯიმ დაფიმ უკმაყოფილება გამოთქვა „რეინჯერსის" მისამართით, რომლის ხელმძღვანელობაც დაფის „ზურგს უკან" მოლაპარაკებას აწარმოებს „დანდის" ქართველ ლეგიონერთან ზურაბ ხიზანიშვილთან.

უნდა აღინიშნოს, რომ ხიზანიშვილს „დანდისთან" კონტრაქტი უახლოეს ხანში უმთავრდება, „რეინჯერსი" კი ქართველი ფეხბურთელის შეძენითაა დაინტერესებული.

თუკი „რეინჯერსს" ხიზანიშვილი სურს, მე უნდა წარმომიდგინონ თავიანთი ვარიანტები. ჯერჯერობით გლაზგოელებს საამისოდ არაფერი გაუკეთებიათ. იმასაც ვიტყვი, რომ „რეინჯერსის" გარდა ქართველი ფეხბურთელით კიდევ რამდენიმე გუნდია დაინტერესებული. „ის შესანიშნავი მოთამაშეა, თანაც ჯერ მხოლოდ 21 წლისაა. ხიზანიშვილს შეუძლია ითამაშოს როგორც ნახევარმცველად, ისე ცენტრალური და მარჯვენა მცველის პოზიციაზე", – განაცხადა დაფიმ. თავად ზურაბ ხიზანიშვილმა ჟურნალისტებს აცნობა, რომ ის უახლოეს ხანში დატოვებს „დანდის", თუმცა ჯერ არ იცის, ითამაშებს თუ არა „რეინჯერსში".

„მინდა მადლობა გადავუხადო „დანდის" ყველა წევრს. აქ მართლაც საუკეთესო დრო გავატარე და საკმაო გამოცდილებაც შევიძინე. რაც შეეხება მომავალს, ჯერ არ ვიცი, თუ რომელი კლუბის ღირსებას დავიცავ" – განაცხადა ხიზანიშვილმა.

## ესპანური კლუბები მომავალი ჩემპიონატის ჩაშლით იმუქრებიან

ესპანეთის პრიმერადივიზიონსა და პირველ დივიზიონში მოასპარეზე 26 საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა იმუქრება, რომ თუ მატჩების ჩვენებისათვის ჰონორარების მიღების საკითხთან დაკავშირებით კონტრაქტებს ხელი არ მოეწერება, ქვეყნის მომავალ ჩემპიონატს არ დაიწყებენ. ეს პოზიცია კლუბების ბოსებმა ესპანეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის საგანგებო ასამბლეაზეც დაადასტურეს. სხდომას არ ესწრებოდნენ ესპანეთის 12 წამყვანი კლუბის, მათ შორის მადრიდის „რეალის" წარმომადგენლები.

ეს მუქარა გამოწვეულია იმით, რომ კლუბების უმრავლესობას გააჩნია საკმაოდ დიდი დავალიანება საგადასახადო სამსახურების მიმართ, ხოლო მატჩების ტელეტრანსლაციებიდან მეტად მცირე შემოსავალი აქვთ. არავინ იცის, რა მოხდება ესპანეთის მომავალი ჩემპიონატის დასაწყისში, — იქამდე ხომ საკმაო დროა და მანამდე ალბათ კომპრომისიც გამოინახება.

## ზიდანი ნაკრებში არ გამოიძახეს



საფრანგეთის ფეხბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ჟაკ სანტონიმ კონფედერაციის თასის გათამაშებაზე საასპარეზოდ, გუნდში არ გამოიძახა მადრიდის „რეალში" მოთამაშე ზინედინ ზიდანი და კლოდ მაკელელე. მწვრთნელის აზრით, ორივე მათგანი „რეალისათვის" საჭიროა, — ამ გუნდს ესპანეთის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ხომ ძალების მაქსიმალური მობილიზება სჭირდება. აი, როგორ გამოიყურება ჟაკ სანტონის მიერ გამოძახებულ ფეხბურთელთა სია.

**მეკარეები:** ბარტეზი („მანჩესტერ იუნაიტედი"), კუპე („ლიონი"), ლანდრო („ნანტი").

**მცველები:** ბუმსონი, მექსესი (ორივე — „ოსერი"), დესაი, გალასი, (ორივე - „ჩელსი"), ლიზარაზუ, სანიოლი (ორივე — „ბაიერნი"), სილვესტრი („მანჩესტერ იუნაიტედი"), ტურამი („იუვენტუსი").

**ნახევარმცველები:** დაბო („ატალანტა"), დაკური („რომა"), ჟიული, როტენი (ორივე — „მონაკო"), კაპო („ოსერი"), პედრეტი („სოშო"), პირესი, ვილტორი (ორივე — „არსენალი").

**თავდამსხმელები:** სისე („ოსერი"), გოვუ („ლიონი"), ანრი („არსენალი"), მარლე („ფულემი").

## იტალიის ნაკრები ტოტის, ვიერის და დელ პიეროს გარეშე

ჯოვანი ტრაპატონიმ ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისათვის შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა.

**მეკარეები:** აბიატი („მილანი"), ტოლდო („ინტერი").

**მცველები:** ბირინდელი („იუვენტუსი"), ბონერა, ფერარი (ორივე — „პარმა"), კანავარო („ინტერი"), გროსო („პერუჯა"), ლეგროტალიე („კიევო"), ოდო („ლაციო").

**ნახევარმცველები:** ამბროზინი („მილანი"), დი ნატალე („ემპოლი"), ფიორე („ლაციო"), ნერვო („ბოლონია), პეროტა („კიევო"), ტომაზი („რომა"), ძანეტი („ინტერი").

**თავდამსხმელები:** კორადი („ლაციო"), დელვეკიო („რომა"), დი ვაიო („იუვენტუსი"), მიკოლი („პერუჯა"), როგორც ხედავთ, ტრაპატონის არ გამოუძახებია ტოტი, დელ-პიერო და ვიერი.

## დელ ნერი „კიევოში" კიდევ ერთი წლით დარჩება

იტალიური საფეხბურთო კლუბ „კიევოს" მთავარმა მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ გუნდთან ახალ კონტრაქტს მოაწერა ხელი, რომლის თანახმადაც თავის პოსტზე კიდევ ერთი წლით დარჩება.

საინტერესოა, რომ დელ ნერის იტალიის სხვა წამყვანი კლუბები იწვევდნენ, მათ შორის „მილანშიც", თუმცა დელ ნერიმ მაინც „კიევო" ამჯობინა.

## ფერგიუსონი მზად არის, ბექჰემი 30 მილიონ ფუნტად გაყიდოს



საფეხბურთო კლუბ „მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ მზად არის, გაყიდოს მისი გუნდის წამყვანი მოთამაშე დევიდ ბექჰემი 30 მილიონ ფუნტად. ევროპული სპორტული საინფორმაციო წყაროების ცნობის თანახმად, ბექჰემის შეძენით დაინტერესებულნი არიან „მილანი", „ბარსელონა", „რეალი" და „ინტერი". არადა, ამ ცოტა ხნის წინ კარლო ანჩელოტი ირწმუნებოდა, რომ „მილანს" ბექჰემი არაფერში სჭირდება.

# ნბა



## ვაშინგტონიდან მწვრთნელი გააძევეს

ნბა-ს კლუბი „ვაშინგტონ უიზარდი" არ აპირებს კონტრაქტის გაგრძელებას გუნდის მთავარ მწვრთნელ დაგ კოლინზთან, რომელსაც ეს პოსტი ბოლო ორი სეზონის განმავლობაში ეკავა. ამ ხნის განმავლობაში კოლინზმა „ვაშინგტონს" 74 გამარჯვება მოაპოვებინა, თუმცა 90-ჯერ გუნდმა დამარცხებულმა დატოვა მოედანი, და კიდევ ერთი, — ვერასგზით ვერ მოხვდა ფლეი-ოფში.

დაგ კოლინზმა მადლობა გადაუხადა „ვაშინგტონის" მენეჯმენტს ლეგენდარულ მაიკლ ჯორდანს და განაცხადა, რომ გუნდიდან ნაწყენი სულაც არ მიდის.

## ეს რა ქნეს რუსებმა!

პარიზში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირ „როლან გაროსზე" ბოლო ორ დღეში სენსაციური შედეგები დაფიქსირდა. ყველასათვის მოულოდნელად მეოთხედფინალური ეტაპიდან შეჯიბრებას გამოეთიშნენ ფავორიტებად აღიარებულნი ვენუს უილიამსი და ჯენიფერ კაპრიატი. უილიამსისაგან უფროსმა დამ შარშან საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ფინალში ითამაშა, 1999 წელს გაიმარჯვა კიდეც. კაპრიატი კი „როლან გაროსის" 2001 წლის გამარჯვებულია.

ვინ იყვნენ სენსაციის ავტორები? რუსი ჩოგბურთელები ვერა ზვონარევა და ნადეჟდა პეტროვა.

ეტყობა ვენუს უილიამსი არცთუ ისე სერიოზულად მოეკიდა ზვონარევასთან მატჩს, მაგრამ 18 წლის რუსი ჩოგბურთელისაგან დიდი სიურპრიზი მიიღო.




მართალია, პირველი სეტი უილიამსმა 6-2 მოიგო, მაგრამ მომდევნო ორ სეტში ზვონარევამ არაფერი დაუთმო მრისხანე მეტოქეს და გაიმარჯვა 6:2, 6:4.

რაც შეეხება პეტროვას, მან პირველი სეტი 6:3 მოუგო ჯენიფერ კაპრიატს. მართალია მეორე სეტში გამარჯვება კაპრიატიმ მოიპოვა (6:4), თუმცა პეტროვამ მესამე სეტი დამაჯერებლად ჩაატარა და გაიმარჯვა 6:3.

## ლემიე „პიტსბურგის" დატოვებაზე ფიქრობს

ნჰლ-ის ვარსკვლავს მარიო ლემიეს გადაუწყვეტია, დატოვოს თავისი ამჟამინდელი კლუბი „პიტსბურგი" და კარიერა სხვა გუნდში გააგრძელოს. საინფორმაციო წყაროები არ ასახელებენ ლემიეს გადაწყვეტილების მიზეზს, ერთადერთი გარემოება, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ლემიეს სხვა კლუბის შემადგენლობაში გადასვლაში, არის ის, რომ იგი „პიტსბურგის" აქციების მფლობელია. ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ „პიტსბურგი" ბოლო პერიოდში ფინანსური პრობლემების წინაშე დგას და ალბათ აქედან გამომდინარე, ნჰლ-ის ვარსკვლავს გული აღარ უჩერდება ამ გუნდში.

## ფორმულა-I

## მონაკოს „გრან-პრი" მონტოიამ მოიგო



კვირას მონტე-კარლოში, მონაკოს „გრან-პრის" გათამაშება გაიმართა. „ფორმულა – 1"-ის ეს ეტაპი დიდი პოპულარობით სარგებლობს. გამარჯვებულ პილოტთა გვარები ოქროს ასოებით შედის ავტოსპორტის ისტორიაში. მონაკოს „გრან-პრი" ყველაზე მეტჯერ მოგებული აქვს ბრაზილიელ აირტონ სენას, ერთი გამარჯვებით ჩამორჩება მას მიხაელ შუმახერი, რომელსაც ცხადია, სურდა, რომ ბრაზილიელის მიღწევა გაემეორებინა, მაგრამ არ დასცალდა.

რბოლის დაწყებისთანავე დაწინაურდა რალფ შუმახერი, მას კვალში მიჰყვებოდა მონტოია, რომელმაც შეძლო გადაესწრო რაიკინენისათვის. მიხაელ შუმახერი კი ტრულის შემდეგ მეხუთე პოზიციაზე იმყოფებოდა.

პირველივე წრეზე, ერთ-ერთ მოსახვევში დაიმტვრა ფრენტცენის ბოლიდი, რის შემდეგაც ტრასაზე გამოჩნდა ე.წ. უსაფრთხოების მანქანა.

პირველი ოცი წრის განმავლობაში მნიშვნელოვანი არაფერი მომხდარა. 21-ე წრეზე რალფ შუმახერმა პიტ-სტოპში შეიარა, ამით ისარგებლა მონტოიამ. სწრაფად გაიჭრა წინ და ერთ წრეზე რეკორდიც დაამყარა. უნდა ითქვას, რომ რალფ შუმახერისათვის პიტ-სტოპში შესვლანაადრევი იყო და ტრასაზე დაბრუნების შემდეგ მეოთხე პოზიციაზე აღმოჩნდა.

როცა „ბოქსებში" შევლის სერია დასრულდა, 31-ე წრისათვის ლიდერი ისევ მონტოია იყო, რომელიც ოთხი წამით უსწრებდა რაიკინენს, მიხაელ შუმახერს კი 9 წამით.

მომდევნო 30 წრის განმავლობაში არაფერი შეცვლილა. მონტოია და რაიკინენი კიდევ უფრო დაშორდნენ შუმახერს.

რბოლის დასასრულამდე 10 წრით ადრე, ყველასათვის მოულოდნელად, მონტოიამ სიჩქარეს უკლო და რაიკინენიც მიუახლოვდა მას. ასევე შუმახერმაც საკმაოდ სოლიდურად შეამცირა სხვაობა ლიდერთან. და მაინც, მონტოიამ ბოლომდე მიიყვანა საქმე და გაიმარჯვა. მან 0,6 წამით აჯობა რაიკინენს. მესამე ადგილზე კი მიხაელ შუმახერი გავიდა.

## სპორტული ივნისი

4-7 ივნისი. **ბალახის ჰოკეი.** ევროპის საკლუბო ჩემპიონატი.
5-8 ივნისი. **ავტოსპორტი.** რალი აკროპოლისი. მსოფლიო ჩემპიონატი, VI ეტაპი. საბერძნეთი.
6-15 ივნისი. **წყალბურთი.** ევროპის ჩემპიონატი. ლიუბლიანა (სლოვენია).
7 ივნისი. **ფეხბურთი.** ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩები.
7 ივნისი. **მძლეოსნობა.** გრან პრი. სევილია (ესპანეთი).
8 ივნისი. **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატის V ეტაპი. იტალიის გრან-პრი. მუგელო.
11 ივნისი. ფეხბურთი. ევრო 2004-ის შესარჩევი მატჩები.
12 ივნისი. **მძლეოსნობა.** გრან-პრი. ოსტრავა (ჩეხეთი).
15 ივნისი. **ავტოსპორტი.** ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატის VIII ეტაპი. კანადის გრან პრი. მონრეალი.
15 ივნისი. ავტოსპორტი. CART-ის ჩემპიონატის VII ეტაპი. ლაგუნა სეკა.
15 ივნისი. **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატის VI ეტაპი. კატალონიის გრან პრი. ბარსელონა.
16-22 ივნისი. **ველოსპორტი.** კატალონიის ტური.
16-25 ივნისი. **ველოსპორტი.** შვეიცარიის ტური.
18-29 ივნისი. **ფეხბურთი.** კონფედერაციის თასი. საფრანგეთი.
19-22 ივნისი. **ავტოსპორტი.** კვიპროსის რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. VII ეტაპი.
21-22 ივნისი. **მძლეოსნობა.** ევროპის თასი. ფლორენცია (იტალია).
22 ივნისი. **ავტოსპორტი.** CART-ის ჩემპიონატის VIII ეტაპი. პორტლენდი.
23 ივნისი — 6 ივლისი. **ჩოგბურთი.** უიმბლდონი.
27 ივნისი. **მძლეოსნობა.** ოქროს ლიგა. I ეტაპი. ოსლო (ნორვეგია).
27-29 ივნისი. **წყალში ხტომა.** გრან პრი.
28 ივნისი. **ოლიმპიზმი.** საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომა. 2010 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქალაქის არჩევა. პრაღა (ჩეხეთი).
28 ივნისი. **მოტოსპორტი.** მსოფლიო ჩემპიონატის VII ეტაპი. ჰოლანდიის გრან პრი. ასენი.
29 ივნისი. **ავტოსპორტი.** ფორმულა 1. მსოფლიო ჩემპიონატის IX ეტაპი. ევროპის გრან პრი. ნიურბურგრინგი (გერმანია).

## ჯილბერტო სიმონიმ „ჯირო დ'იტალია" მოიგო



დასრულდა ველორბოლა „ჯიროდ დ'იტალია". გამარჯვება მოიპოვა იტალიელმა ჯილბერტო სიმონიმ. ბოლო ეტაპის წინ მის გამარჯვებაში ეჭვი უკვე არავის ეპარებოდა, რადგან სიმონიმ დიდი უპირატესობით მოიგო წინა ეტაპები, განსაკუთრებით რბოლები მთიან ადგილებში. ბოლო ეტაპის წინ, სიმონის უპირატესობამ საერთო ჩათვლაში უახლოეს მდევართან — სტეფანო გარცელისთან 7 წუთი და 6 წამი შეადგინა. ბოლო ეტაპზე გარცელის არანაირად არ შეეძლო მოეგო ბრძოლა სიმონისათვის. პირიქით, სტეფანოს მეორე ადგილის შენარჩუნებისთვისაც კი დიდი ჯაფა დაადგა. მესამე ადგილზე გასულ პოპოვიჩს სულ 5 წამით აჯობა.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში პირველი სასკოლო ოლიმპიური კლუბის ორგანიზატორი და ამ კლუბის პრეზიდენტი, თბილისის 166-ე საშუალო სკოლის დირექტორი
აკაკი (კაკო) ელიაური
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს

ქ. თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბავშვთა და მოზარდთა ოლიმპიური რეზერვების კომპლექსური სპორტული სკოლა, პირადად მისი დირექტორი ელდარ ფარჯანაძე ღრმა სამძიმარს უცხადებენ საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს გმირი ხაჩიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

„ლელოს" რედაქცია თანაუგრძნობს გმირი ხაჩიძეს მეუღლის გარდაცვალების გამო.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




3 ივნისი, სამშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (21.50), *იბერია.* „ბურთი და მოედანი" (10.35), *ევრიკა.* „სპორტის სამყარო" (21.30), *მე-9 არხი.* „მსოფლიო რაგბი" (14.50), ევროპის სტადიონებზე (20.00), *იმედი.* „გოლი" (10.30). *НТВ плюс футбол.* გერმანიის ჩემპიონატის შედეგები (13.15), „ბორუსია" — „ჰერტა" (22.10), „გავიხსენოთ განვლილი სეზონი": ინგლისის ჩემპიონატი „ჩელსი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (14.45), რუსეთის ჩემპიონატი „შინიკი" — „ტორპედო" (16.30), ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (18.15, 1.40), „ჩემპიონთა ლიგის არქივი": 97/98 სეზონი. „ბარსელონა" — კიევის „დინამო" (19.30), „მანჩესტერ იუნაიტედი" — „იუვენტუსი" (23.55), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (21.15). *НТВ плюс спорт.* ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალის მე-4 მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (5.00, 11.45, 23.10), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. „როლან გაროსი" (14.55), კიოკუსინკაი კარატე. რუსეთის ჩემპიონატი (1.55). *EUROSPORT.* ნიჩბოსნობა. მსოფლიო თასი (11.30), ფეხბურთი. ევროგოლები (12.30), ჩოგბურთი: ფრენჩ ოუპენი (14.00), საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (15.00, 23.00, 0.00).

4 ივნისი, ოთხშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* სპორტის სამყარო (21.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.50, 20.00), *НТВ плюс футбол.* „გავიხსენოთ განვლილი სეზონი": ინგლისის ჩემპიონატი. „ლიდსი" — „მანჩესტერ იუნაიტედი" (13.15), ლიბერტადორესის თასის მატჩების მიმოხილვა (15.00), ჩემპიონთა ლიგის არქივი. 97/98 სეზონი. „ბარსელონა" — კიევის „დინამო" (15.55), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (17.40), ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. რუსეთის ნაკრები — იაპონიის ნაკრები (19.55, 0.00) — ქალები. იტალია — ბრაზილია. *НТВ плюс спорт.* ამერიკული ფეხბურთი. ევროპის ლიგის ჩემპიონატი (11.45), ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი „როლან გაროსი". მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია (14.55), საცხენოსნო სპორტი. რუსეთის თასი (20.30), ძალოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი. ვაჟები (22.25). *EUROSPORT.* ფეხბურთი. ევროგოლები (11.30), ჩოგბურთი. ფრენჩ ოუპენი (14.00), საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (15.00, 23.00, 0.00).

5 ივნისი. ხუთშაბათი

*საქართველოს ტელევიზია. ევრიკა.* „სპორტის სამყარო" (19.30), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.50), „ქართული ფეხბურთი" (20.00), *იმედი.* „ესტაფეტა" (20.30), *НТВ плюс футбол.* ლიბერტადორესის თასი. ნახევარფინალი 1-ლი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია (5.25, 13.15), ფრენბურთი. საერთაშორისო ტურნირი. ქალები. რუსეთ-იაპონია (16.45, 21.55) — რუსეთი — ბრაზილია, ჩინეთი — კუბა (23.55), ესპანეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა (1.30), *НТВ плюс спорт.* კალათბურთი: ნბა-ს ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია (5.30), ფინალის 1-ლი მატჩი (11.45), მიმოხილვა (21.00, 2.30), ძალოსნობა. რუსეთის ჩემპიონატი. ვაჟები. ნაწილი მე-2 (1.15). *EUROSPORT.* საცხენოსნო სპორტი. ეროვნებათა თასი (12.30), კრივი. პროფესიონალები (14.30, 1.00), ჩოგბურთი: ლეგენდები (16.00), საფრანგეთის ღია ჩემპიონატი (17.00, 0.00), ფეხბურთი. ევრო-2004 (21.30), ლიბერტადორესის თასი (22.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. აკროპოლისი (3.45).



## კროსვორდი № 41

**თარაზულად:** 1. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, 8. საჩოგბურთო ტერმინი, 9. ინგლისელი სტაიერი ოლიმპიური ჩემპიონი (1980), 10. ინგლისელი ფეხბურთელი ლე... 12. ცნობილი გერმანელი საფეხბურთო მწვრთნელი წარსულში, 14. ესპანეთის „სამეფო კლუბი", 17. ვიტ-ჯორჯიას ფეხბურთელი — მეკარე, 18. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 19. საკალათბურთო ასოციაცია (აბრევიატურა), 22. ინგლისის საფეხბურთო კლუბი, 23. ჰოლანდიის საფეხბურთო კლუბი, 24. ორთაბრძოლის ქართული უძველესი სახეობა, 25. ბადმინტონის ბურთი.

**შვეულად:** 2. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი — კაპიტანი, 3. ამერიკელი პროფესიონალი მოკრივის მარჩიანოს სახელი, 4. ცნობილი რუმინელი საფეხბურთო სპეციალისტი, 5. ცნობილი სამხრეთაფრიკელი ფეხბურთელი, 6. წმინდა გამარჯვება ძიუდოში, .7. პოლონეთის საფეხბურთო კლუბი, 11. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ვეტერანი ჩოგბურთელი, პიტ... 13. უხეში, მოუქნელი... 15. ილეთი ანუ... 16. ცნობილი ვეტერანი რუსი ფეხბურთელი, 17. „მილანის" ცნოყილი ფეხბურთელი, 20. ლატვიის საფეხბურთო გუნდი, 21. მძლეოსნობის იარაღი.

### კროსვორდი №40-ის პასუხები:

**თარაზულად:** 1. კორიდა, 4. კუცი, 5. სალტო, 6. ტოტი, 8. „რომა", 10. კოპა, 11.რაი, 12. გაზაევი, 13. ნადი, 14. აჩბა, 17. სტიპლჩეისი, 19. ლი, 23. რბოლა, 24. კასკადიორი, 25. ბენე, 26. ცხენი, 27. „ბარი".

**შვეულად:** 1. კატო, 2. როტი, 3. ელო, 4. კოე, 7. „რაპიდი", 8. როგი, 9. სანჩესი, 10. კინი, 15. ისარი, 16. ბალაძე, 18. ევროპა, 20. კორეა, 21. ასტე, 22. „ბალი".

## საჭადრაკო ამოცანა

ვ. დე-ბარბიერი
(1902წ)




შამათი 4 სვლაში

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:
1. ლh2!
1. ...f6 (f5) 2. მg6+ მფg8; 3. ლa2X
1. ...g6 (g5) 2. ლe5+ f6; 3. ლ:f6X

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე